# ქუჯი

„... და მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა“

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის გაზეთი №4, 2001 წ. ფასი 30 თეთრი


## ინფორმაცია კოლხური კოშკიდან

შევარდნაძემ მიზანდასახულად განახორციელა ჩვენი სახელმწიფოს ტოტალური ძარცვა. დაარღვია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა – გაასხვისა შიდა ქართლი და აფხაზეთი. მსგავსი საფრთხე ემუქრებათ სხვა კუთხეებსაც. დევნა და არნახული რეპრესიები მოუწყო კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს. ალაზევა კრიმინალები. ხელი შეუწყო ნარკომანიასა და პროსტიტუციას. ქვეყანა აავსო ასაკოვანი და მცირეწლოვანი მაწანწალებით... მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებით გადაიხვეწა სამშობლოდან.

გვ. 3

ინტერვიუ პოლიტიკურ ოპონენტთან

ინტერვიუ

ბ-ნ ნოდარ ნათაძესთან



## საქართველოს დაბეჩავების ასეთი პოლიტიკით შევარდნაძე საკუთარ თავს მისაღებს ხდის მათთვის

გვ. 3

---

## მრუდე სარკე და სინამდვილე

ჯაბა იოსელიანი რომ ესოდენ კმაყოფილია მხედრიონელთა მიერ უაზრო სისხლისღვრით, არცაა გასაკვირი, თუმცა იგი ბევრს იღებს საკუთარ თავზე. სინამდვილეში საქართველოს კანონიერი მთავრობა რუსული ჯარის მიერ იქნა განდევნილი, იოსელიანი და ძმანი მისნი ამ დროს მარიონეტებს წარმოადგენდნენ.

გვ. 2

კადრები ქუთაისის უახლოესი წარსულიდან

## ჭენ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი ჩვენს თაობას



გადაწყდა: თუ რაიმე შეგვეძლო, ახლა უნდა გამოგვეჩინა სიმტკიცე და გაგვეკეთებია ის, რასაც საჭიროდ ჩავთვლიდით და არა ის, რასაც ჩვენგან მოითხოვდნენ.

გვ. 5

## უზენაესი საბჭო

### გაგრის აღება მოსკოვის სამმხრივი (ელცინი, შევარდნაძე, არძინბა) შეთანხმების საფუძველზე მოხდა



ზვიად გამსახურდია 1993 წლის 24 სექტემბერს კინდღში ხვდება უკანონო სამხედრო შენაერთების მეთაურებს, რომლებიც მის წინაშე სოხუმის დაცვისა და შენარჩუნების ფიცს დებენ. შევარდნაძის მიერ სასწრაფოდ მიღებული ზომების შედეგად სამხედრო შენაერთების მეთაურები გამოთხოვილ იქნენ აღნიშნული ტერიტორიიდან, რომელსაც შემდგომ სასწრაფოდ მოჰყვა არა მარტო სოხუმის, არამედ გაგრის ჩაბარებაც.

გვ. 2

## საქართველოს სხვა ახალი ამბები

ლისის ტბის სარეკრეაციო (დასასვენებელ) ცენტრში სასაფლაოს გახსნა გამოიწვევს საბურთალოს მოსახლეობის ნაწილის მასობრივ მოწამვლას და ამ რეგიონში სიკვდილიანობის ზრდას. ასეთ დროს კი დუმს გეოლოგიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტები, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები, ეკოლოგიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტები.

გვ. 3

„ქუჯის“ ფოსტიდან

## მე თქვენ მოგმართავთ, ხელისუფალნო!

უცნობია ჩვენს ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული სიტუაცია. გაფანტული წყლის წვეთებივით გაბნეულ ქართველებს ვინ შეკრებს? ჩვენი გენი გადაშენების პირზეა. ქართველი ქალები ვიღაც თურქებსა და ბერძნებს უვლიან, საროსკიპოებში სხეულს ჰყიდიან... ჩვენი ბიჭები მებარგულებად მუშაობენ სხვა ქვეყნებში.

თქვენს კისერზეა მათი ოჯახების დანგრევა

გვ. 6

---

ფრაგმენტები ჩვენი დღევანდელი ყოფიდან

## ამის შესახებ ყველამ უნდა იცოდეს!

ამ ბოლო დროს ისეთი ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანა შეინიშნება, რომელთა უმნიშვნელო რაოდენობით მიღებაც კი სიკვდილს იწვევს. ქუთაისის საავადმყოფოებში არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული. მომწამლავი ნივთიერებებით დაიღუპნენ 27, 32, 38. 42 წლის ადამიანები.

გვ. 6

## ისტორიის გაკვეთილები

### ქუჯისა და ფარნავაზის გაერთიანება საქართველოს გამთლიანებას ნიშნავდა



ეგრისის ერისთავმა ქუჯიმ დიდად გაიხარა ფარნავაზის შემონათვალით და სასწრაფოდ პასუხიც აახლა: ოღონდ გაგვაერთიანოთ ჩვენი ქვეყანა და შენ იყავით მეფე – „ალსდექ და მოდი ჩემთან. შევკრეთით ერთურთისა, შევერთდეთ და მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა“.

გვ. 7

ლიტერატურა

## ც ე რ ა



ლოცვისა და სიკეთის მადლი ჯებირად უდგას სამყაროს და იცავს მას წარღვნისაგან.

გვ. 5

## ჩვენი რწმენა

### ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ



ქრისტიანული სწავლების თანახმად ადამიანები არ კვდებიან, ისინი მხოლოდ ხორციელ სამოსს იცვლიან ანდა უკვდავი სულით უბრუნდებიან ზეციურ სამშობლოს.

გვ. 6

## უზენაესი საბჭო

# გაგრის აღება მოსკოვის სამმხრივი (ელცინი, შევარდნაძე, არძინბა) შეთანხმების საფუძველზე მოხდა

**გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედი იურიდიული კომისიის თავმჯდომარესთან ბიძინა აფრასიძესთან**

*– 1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებულ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ერთვნული ხელისუფლების მიმართ სხვადასხვა ბრალდება დაფიქსირდა. რას გვეტყოდით ამის შესახებ?*

- თქვენ გულისხმობთ იმ სახელმწიფო დამნაშავეების გამოსვლებს, რომლებსაც რუსეთის ჯარებსა და



სპეცსამსახურებთან ერთად ლომის წილი მიუძღვით 1991-92-93 წლების სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებაში, ქართული სახელმწიფოს რღვევაში, ქვეყნის ოკუპაცია-ანექსიაში, კრემლის დავალებით აფხაზეთის კონფლიქტის პროვოცირებაში და სამარცხვინო, გამანადგურებელ მარცხში?

ისინი ყოველგვარი არგუმენტებისა და ლოგიკის გარეშე დევნილი ეროვნული ხელისუფლების მიმართ „ბრალდებებით“ წარსდგნენ მოსახლეობის წინაშე, თითქოსდა, ხელისუფლების სადავეები ამ დროს კანონიერი ხელისუფლების ხელში ყოფილიყო. ვისაუბრებთ მხოლოდ ფაქტებითა და არგუმენტებით:

გავიხსენოთ 1992 წლის 21 თებერვალი, როცა ე.წ. სამხედრო საბჭოს, სამღვდელოებისა და ე.წ. პოლიტიკური ლიდერების მიერ **საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის გაუქმებითა და 1921 წლის დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის აღდგენის დეკლარირებით შეიქმნა კონსტიტუციური ვაკუუმი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილი კონსტიტუციაში არ აღმოჩნდა. ყოველივე ამან აფხაზ სეპარატისტებს საბაბი მისცა 1992 წლის 23 ივლისის ანტიკონსტიტუციური აქტით აღედგინათ აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუცია და დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ.** კრემლის მიერ მოწყობილი „სპორტის სასახლის პროვოკაციის“ გაგრძელება გახლდათ 1992 წლის 25 თებერვლის (ყარყარაშვილი, კაკუბავა...) ლემარში მდინარე ფსოუმდე და „წყლის ღალევის“ ინსცენირება. ამას დაემატა 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის კონფლიქტის პროვოცირება შევარდნაძისა და არძინბას მიერ. ზვიად გამსახურდია აღნიშნავდა, რომ ეს ძმათამკვლელი კონფლიქტი კატასტროფამდე მიიყვანდა საქართველოს და მასში გამარჯვებული მხოლოდ მოსკოვი გამოვიდოდა. აფხაზეთის პრობლემისადმი ხუნტის პოლიტიკის კონტურები 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის გარიგებაში გამოიკვეთა, რომლის ძალითაც მოხდა რუსეთის ე.წ. მშვიდობისმყოფელთა მიერ სამაჩაბლოს ოკუპაცია. სხვათა შორის, 1991 წლის 23 მარტს დაბა ყაზბეგში ზვიად გამსახურდიას და ბორის ელცინს შორის ხელმოწერილი დოკუმენტით ყოფილი სამხრეთ ოსეთის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ქართული მხარის პრეროგატივა გახდა.

**აფხაზეთის კონფლიქტამდე, შევარდნაძის მოთხოვნით (უფრო სწორად კრემლის ბრძანებით), გუდაუთაში შემოყვანილ იქნა ავღანეთში ნაბრძოლი რუსეთის 345-ე სადესანტო პოლკი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართველთა გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაში.**

1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვის სამმხრივი (ელცინი, შევარდნაძე, არძინბა) შეთანხმების საფუძველზე მოხდა გაგრიდან მძიმე ტექნიკისა და ქართული შეიარაღებული შენაერთების გაყვანა, რის შედეგადაც ერთი თვის შემდეგ - 2-9 ოქტომბერს მტერს ჩაბარდა გაგრა, ლესელიძე, განთიადი, მოეწყო ქართველთა არნახული ხოცვა-ჟლეტა და ეთნიკური წმენდა.

1993 წლის 27 ივლისის სოჭის სამმხრივი ხელშეკრულებით მოხდა აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართული მხარის მძიმე ტექნიკის გამოყვანა, მხოლოდ ქართული მხარის განიარაღება და 27 სექტემბერს სოხუმის დაცემა - ქართველი ერის დიდი ტრაგედია.

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსული სამხედრო შენაერთები აშკარად იბრძოდნენ, ხუნტა შემდგომ „მშვიდობისმყოფელთა“ რანგში, მათ აფხაზეთის ოკუპაციის მანდატს აძლევს.**

გაგრისა და სოხუმის ჩაბარება ერთი და იგივე სცენარით განხორციელდა, ასევე, ორი წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაცია, საქართველოს იურისდიქციიდან მათი მოწყვეტა.

*– მაგრამ დღეს ხომ საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნები ჩართო?*

- ჯერ ერთი, აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გადაცემა სხვა ქვეყნებისათვის დიდი დანაშაულია და ისინი უფრო მეტად ანგარიშს გაუწევენ არა საქართველოს, არამედ რუსეთის პრეზიდენტს; მეორე, საქართველოს ფაქტობრივმა ხელისუფლებამ რუსეთს 25 წლით დაუკანონა სამხედრო ბაზები ჩვენს ქვეყანაში და ანტიკონსტიტუციური აქტით შეიყვანა ეს უკანასკნელი დსთ-ში. ამით საქართველოში სიტუაციის მართვის ყველა ბერკეტი რუსეთს გადაულოცა; მესამე, 1994 წლის 4 აპრილის, 2000 წლის 11 ივლისის სოხუმის ხელშეკრულებები ე.წ. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კაპიტულანტურია და აფიქსირებს აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოს; მეოთხე, რუსეთის მიერ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში უვიზო რეჟიმის დაწესება წარმოადგენს საქართველოს ძირძველი ტერიტორიების ანექსიის მცდელობას.

**მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სამართლებრივი ბაზა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებშია. კერძოდ, აფხაზეთის ასსრ-ში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 59,84 პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. რეფერენდუმის შედეგები წარმოადგენს უმაღლესი ძალის იურიდიულ დოკუმენტს, რომლის ძალითაც დე-იურე აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დარჩება მანამ, სანამ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ახალი რეფერენდუმით არ გაუქმდება 31 მარტის შედეგები.**

ასევე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა 94,39 პროცენტმა.

რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, ორივე ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსში ცვლილებების შეტანა, **საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და რეფერენდუმის შედეგების საწინააღმდეგო ქმედებები მოსახლეობის ნებისა და საერთაშორისო ნორმების იგნორირებაა.**

სწორედ, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი ის სამართლებრივ-პოლიტიკური ფუნდამენტია, რომელსაც ემყარება ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, საერთაშორისო სამართლის სუბიექტად გახდომა, გაეროსა და ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანება.

> **1993 წლის 27 ივლისის სოჭის სამმხრივი ხელშეკრულებით მოხდა აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართული მხარის მძიმე ტექნიკის გამოყვანა, მხოლოდ ქართული მხარის განიარაღება და 27 სექტემბერს სოხუმის დაცემა.**

*– საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას ბრალს სდებენ აფხაზეთის საარჩევნო კანონის, ე.წ. აპარტეიდულის, მიღების გამო, სადაც აფხაზებს 28 ადგილი ერგოთ უმაღლეს საბჭოში და ქართველებს კი – 26.*

- კრემლის მიერ ხელოვნურად შექმნილი ვითარების განმუხტვა აფხაზეთში შეიძლებოდა მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით, ეტაპობრივად, აფხაზი, რუსი და სომეხი პარტოკრატების სისხლიანი მოწოდებების განეიტრალებით, კონფლიქტის თავიდან აცილებით.

აფხაზთა და ქართველთა ორმხრივმა კომისიამ შეიმუშავა ახალი დროებითი საარჩევნო კანონი, რომლის მიხედვით, აფხაზურ მხარეს უმაღლეს საბჭოში ეძლეოდა 28 ადგილი ანუ 43 პროცენტი, წინა უმაღლეს საბჭოში არსებული 40,7 პროცენტის ნაცვლად, ქართულ დეპუტაციას გამოეყო 26 ადგილი, ხოლო სხვა ეროვნების მოსახლეობას - 11.

წინასწარ სიტუაციის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქვოტირების გარეშე მოსალოდნელი იყო ქართული დეპუტაციისათვის აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში 35-38 პროცენტი ადგილების მოპოვება. ვინაიდან კრემლს ამ კუთხეში საკმაოდ ძლიერი დასაყრდე-



ნი ჰყავდა ე.წ. ეროვნული კონგრესის სახით, რომლის პროვოკაციული საქმიანობით, არჩევნების ბოიკოტისკენ მოწოდებებით მოსალოდნელი იყო მნიშვნელოვანი ხმების დაკარგვა არჩევნებში. მართლაც, ქვოტური პრინციპით არჩევნების ჩატარებისას მათმა ანტიქართულმა საქმიანობამ ქართულ მხარეს 11-დან 3 ადგილი დააკარგვინა და ქართული ორიენტაციის დეპუტაციის მაჩვენებელმა შეადგინა 47,6 პროცენტი, ნაცვლად მოსალოდნელი 52,4-ისა. ცნობისათვის, წინა უმაღლეს საბჭოში ქართული ორიენტაციის დეპუტაციის რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 37,9 პროცენტი. არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, აფხაზებს კონსტიტუციური ცვლილებებისათვის სჭირდებოდათ 43 ხმა, სინამდვილეში, ისინი მხოლოდ 36 ხმას ფლობდნენ. ამავე დროს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, კონსტიტუციის 121-ე მუხლის მე-13 პუნქტით, უფლება ჰქონდა შეეჩერებინა ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა რესპუბლიკის კონსტიტუციას და კანონებს.

ორმხრივი კომისიის შეთანხმებით ქართული მხარიდან უნდა დანიშნულიყო მთავრობის თავმჯდომარე, ძალოვანი სამინისტროების (უშიშროების, შინაგან საქმეთა) მინისტრები, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

დროებითი საარჩევნო კანონის მიღება, რომელსაც კრიმინალები აპარტეიდულს უწოდებენ, ქართული დიპლომატიის გამარჯვება გახლდათ, რის შედეგადაც:

ა) თავიდან იქნა აცილებული აფხაზეთში კონფლიქტის პროვოცირება და ამასთანავე, მოხდა საქართველოს სახელმწიფოებრივი პოზიციების განმტკიცება;

ბ) მოსახლეობის 17,1 პროცენტის მიერ ადგილების 43 პროცენტის მიღებით განეიტრალდა კრემლის ემისრებისგან (სახაროვი, ბონერი, სტარავოიტოვა, აირიკიანი, ჭანტურია, ხაინდრავა) საქართველოს, როგორც „მცირე იმპერიის“ შესახებ შეთხზული მითი;

გ) აფხაზეთის არჩევნების მაგალითზე დაიწყო ჩერქეზების, ყაბარდოელების, ადიღეელების, ყარაჩაელების, ბალყარების შელახული ეროვნულ ღირსების აღდგენა, თვითგამორკვევ პროცესი, „კავკასიური სახლის“ მ ნებლობის დაჩქარება;

დ) აფხაზეთში სიტუაციის მართვ ყველა ბერკეტი საქართველოს ხელ სუფლების ხელში აღმოჩნდა.

1991 წლის 31 მარტის რეფერენ მი, 9 აპრილის სახელმწიფოებრივი

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

## მრუდე სარკე და სინამდვილე

### მრუდე სარკე:

**2001 წლის 29 იანვრისა და 4 თებერვლის გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ზვიადისტების დამარცხებად ყოფილი მხედრიონელებიც დაასახელეს“, სადაც ჯემალ გამახარიამ აღნიშნა: „25 იანვრის მანიფესტაციის მონაწილენი ახალს არაფერს ითხოვდნენ. განა 1992 წლიდან მოყოლებული ამ ხელისუფლების გადადგომას არ ითხოვენ?“**

### სინამდვილე:

ქართველი ხალხი 1992 წლიდან დღემდე სისხლით მოსული მთავრობის გადადგომასთან ერთად კანონიერი ხელისუფლების აღდგენას მოითხოვს. ამ მიზანს ეწირებოდა მრავალი ადამიანის სიცოცხლე. დღეს კი გამახარია და მისი ფრაქციის წარმომადგენლები კანონიერი ხელისუფლების აღდგენაზე არაფერს ამბობენ და ფაქტების გაყალბებით ცდილობენ ხალხის შეცდომაში შეყვანას.

### მრუდე სარკე:

**პარლამენტის წევრმა ჯემალ გამახარიამ ჟურნალ „სარკეში“ (№51 20-27, დეკემბერი, 2000 წ.) ასეთი განცხადება გააკეთა: „დღეს არსებული პრობლემების მიზეზი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა და პუტჩისტების მიერ ხელისუფლების უზურპაციაა, მათ მიერ ჩატარებული არჩევნები კი – ყოველივე ამის გაგრძელება“.**

### სინამდვილე:

როგორც ვხედავთ, პარლამენტარი გამახარია პუტჩისტთა მიერ ჩატარებულ არჩევნებს ეხება. მაგრამ თავად იგი რომელი პარლამენტის წევრია? მოვითხოვთ მისგან და სხვა ე.წ. „ზვიადისტი“ პარლამენტარებისაგან, თავი დაანებონ ზვიად გამსახურდიას სახელის გამოყენებას, ვინაიდან მათ დაარღვიეს ბატონი პრეზიდენტის მთავარი მოწოდება: „ბოიკოტი უკანონო არჩევნებს!“

### მრუდე სარკე:

**„სარკეს“ იმავე ნომერში ბატონმა ჯაბა იოსელიანმა განაცხა ფაქტია, ეს მთავრობა მხედრიონის სისხლითაა მოსული. ქუთაისი გამსახურდიას მომხრეებს რომ გაემარჯვათ, დღეს მაღალ პოსტე მსხდომნი იქ აღარ იქნებოდნენ“.**

### სინამდვილე:

ბატონი ჯაბა რომ ესოდენ კმაყოფილია მხედრიონელ მიერ უაზრო სისხლისღვრით, არცაა გასაკვირი, თუმცა კარაა, იგი ძალზე ბევრს იღებს საკუთარ თავზე. სინამდ ლეში ხომ მარიონეტს წარმოადგენდა. საქართველოს კა ნიერი პრეზიდენტი, მთავრობა, უზენაესი საბჭო რუს ჯარის ნაწილების მიერ იქნენ განდევნილი, რა თქმა უნ ბატონი იოსელიანის, სიგუას, კიტოვანის, ადამიას და „ თა მათთა“ მხარდაჭერით.

(მასალა მოამზადა აკაკი ბაკურაძემ)

## ინფორმაცია კოლხური კოშკიდან

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის ინფორმაცია

თბილისში, კოლხურ კოშკში, 2001 წლის 27 იანვარს ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მორიგი სხდომა.

განხილული იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის დავით გოგაძის მიერ გამოტანილი საკითხები: „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის რეორგანიზაციის შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მიღებული იქნა შესაბამისი დადგენილებანი.




სესიამ მოისმინა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მანანა არჩვაძე-გამსახურდიას განცხადება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის ხელმძღვანელი ე. გოგუაძე

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ტარიელ ფუტკარაძის განცხადება

„თურქი მესხების“ სახელით ცნობილი ადამიანთა ერთობლიობა დიფერენცირებულად უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ მათი თანამედროვე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნების (თვითაღქმის, „შეუტეშენ“) მიხედვით, არამედ წარმოშობის თვალსაზრისითაც; კერძოდ, მათი ნაწილი წარმომავლობით გამუსლიმანებული ქართველია, ნაწილი - თარაქამა, ნაწილი - თათი, ნაწილი - თურქი და ა.შ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სსრ კავშირის (რუსეთის იმპერიის) ხელისუფლების მიერ გასახლებული ე.წ. „თურქი მესხების“ ადგილას უკვე დიდი ხანია ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ასევე იძულებით ჩამოსახლებული ქართველების შთამომავლები...

აქვე ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთ გარემოებას: საერთაშორისო ორგანიზაციები რატომღაც ყურადღებას არ ამახვილებენ ასევე ისტორიულ კიდევ ერთ ფაქტზე:

რუსეთ-თურქეთის ომების შემდეგ რუსეთის ხელშეწყობით (ფაქტიურად ინიციატივით!) თურქეთში გასახლებულ იქნა ათასობით ქართველი მუსლიმანი (მუჰაჯირები); მათ საცხოვრებელ ადგილებში პასკევიჩმა და სხვებმა ჩამოასახლეს სომხები, რომლებიც დღემდე ცხოვრობენ ისტორიულ ქართულ ტერიტორიაზე... რატომ არავინ არ აყენებს საკითხს, რომ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე დაბრუნდნენ თურქეთში გასახლებული ქართველები, ხოლო გვიან ჩამოსახლებული სომხები უკან, თურქეთის თუ ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე დაბრუნონ...

ახლა კი კონკრეტულად „თურქ მესხთა“ ამჟამად ჩამოსახლების შესახებ: „თურქი მესხები“ ამჟამად სხვა ქვეყნების მოქალაქეები არიან; საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას უფლება აქვს და შეუძლია საქართველოს მოქალაქეობა მისცეს მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებმაც იციან საქართველოს სახელმწიფო ენა და აღიარებენ საქართველოს კონსტიტუციას. ახალმიღებულ საქართველოს მოქალაქეთა განსახლება უნდა მოხდეს მათ მიერვე შეძენილ ახალ სამოსახლეო ფართზე; დეპორტირებულთ საკომპენსაციო თანხები უნდა გადაუხადოს სსრ კავშირის უშუალო მემკვიდრემ - რუსეთის ფედერაციამ.

7 თებერვალი, 2001 წელი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

SUPREME COUNCIL OF THE REPUBLIC OF GEORGIA

თბილისი, გალის ქ. №19 ტელ.: 22 13 87

Tbilisi, Gali st. No19 Tel.: 22 13 87

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა სრულიად საქართველოსადმი

თანამემამულენო!

დიდი ძნელბედობის ჟამი უდგას ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მოსახლეობას!

ფაქტობრივი ხელისუფლება უკანონოა!

დღეს საქართველოს მართავს ხუნტა ედ. შევარდნაძის ხელმძღვანელობით! მან ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარის სახელმწიფო გადატრიალებით. შეიარაღებული კრიმინალური ბანდებისა და რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმების დახმარებით განდევნა 1990 წლის 28 ოქტომბრის საერთო საყოველთაო არჩევნებით ხელისუფლებაში მოსული საქართველოს უზენაესი საბჭო, თქვენს მიერ, საქართველოს მოსახლეობის 86,52%-ის ნებით არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მთავრობა, გააუქმა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები.

შევარდნაძემ მიზანდასახულად განახორციელა ჩვენი სახელმწიფოს ტოტალური ძარცვა. დაარღვია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა - გაასხვისა შიდა ქართლი და აფხაზეთი. მსგავსი საფრთხე ემუქრება სხვა კუთხეებსაც! ციხეები აივსო პოლიტიკური პატიმრებით. დევნა და არნახული რეპრესიები მოუწყო კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს. ალაზევა კრიმინალები. ხელი შეუწყო ნარკომანიასა და პროსტიტუციას. ქვეყანა აავსო ასაკოვანი და მცირეწლოვანი მაწანწალებით. ფიზიკურად გაანადგურა ერის მომავალი - ახალგაზრდობა. მატერიალური და მორალური წნეხით მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებით გადაიხვეწა სამშობლოდან.

შევარდნაძის ხუნტა ერის გენოციდს დღესაც წარმატებით ახორციელებს!

შევარდნაძის მიერ ჩადენილ უამრავ დანაშაულებრივ ფაქტთაგან მხოლოდ რამდენიმეს შევახსენებთ:

–1992 წლის ივლისში შევარდნაძის ხელშეწყობით რუსეთმა გაიტანა საქართველოს კუთვნილი 11 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო ტექნიკა.

–1993 წელს შევარდნაძემ, რუსეთის სასარგებლოდ, უარი განაცხადა 150 მილიარდ დოლარად შეფასებული შავი ზღვის ფლოტიდან საქართველოს წილზე.

–თბილისისა და ბათუმის ე.წ. ლიდერთა წყალობით საქართველომ დაკარგა საზღვაო ფლოტი.

–მოსახლეობის მიერ შემნახველ სალაროებში განთავსებული ანაბრები შევარდნაძემ კრედიტის სახით დაურიგა ახლობლებსა და კანონიერი ხელისუფლების დამხობაში მონაწილე ყველა ცრუ პარტიას.

–ე.წ. ვაუჩერებით მოიტაცა 40 მილიარდი სახალხო საკუთრების უძრავ-მოძრავი ქონება.

–შევარდნაძემ 1993 წელს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მათი მხარდამჭერი მოქალაქეების წინააღმდეგ გამოიყენა უცხო ქვეყნის, კერძოდ, რუსეთის შეიარაღებული ძალები - 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის ავტორი ძერჟინსკის სახელობის დივიზია და შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტი ადმირალ ბალტინის მეთაურობით. დაახოცინა ასეულობით ადამიანი, მათ შორის მშვიდობიანი მოსახლეობა, გადაწვა და დაანგრია მათი სახლ-კარი.

–შევარდნაძემ, 1993 წლის 31 დეკემბერს, რუსეთის სპეცსამსახურებისა და ჯარების გამოყენებით, განახორციელა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული გმირის ზვიად გამსახურდიას მკვლელობა.

დღეს შევარდნაძეს, მოსკოვის კრემლთან ერთად, ნებავს საქართველოს რესპუბლიკაში ორმაგი მოქალაქეობის შემოღება, რაც ნიშნავს:

ა) უცხო ქვეყნების მიერ, საკუთარი მოქალაქეების დაცვის საბაბით, ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევისა და ოკუპაციის შესაძლებლობის დაშვებას,

ბ) ჩვენს ქვეყანაში კომპაქტურად დასახლებულ ეროვნულ უმცირესობათა მხრიდან მეზობელ სახელმწიფოებთან შეერთების ტენდენციების გაძლიერებას ანუ ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას.

შევარდნაძისა და პუტინის ფარული გარიგებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და შიდა ქართლის მოსახლეობისათვის რუსეთის მხრიდან უვიზო რეჟიმის შემოღება ნიშნავს ამ ტერიტორიების ფაქტობრივ ანექსიას და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ტერიტორიიდან საბოლოო მოწყვეტას.

ხუნტის მიერ ჩატარებული ყველა არჩევნები უკანონოა და ანტიკონსტიტუციური!

ყველა აქტი, რომელიც მიღებულია ხუნტის მიერ არის იურიდიული ძალის არმქონე!

სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორების მოქმედება კვალიფიცირებულია, როგორც სამშობლოს ღალატი!

ბატონი ზვიად გამსახურდია 1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომაზე აცხადებდა:

„საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას, მიუხედავად საქართველოს ანექსიისა, 1921 წლის კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და ამის გამო დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო და მისი კონსტიტუცია, იურიდიული თვალსაზრისით, დღესაც განაგრძობს არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მოქმედება დროებით შეჩერდა ანექსიის შედეგად. საქართველოს ტერიტორია იურიდიულად კვლავ ერთიანი და განუყოფელია, მასზე არ მოქმედებს არცერთი უცხო ქვეყნის კონსტიტუცია. საბჭოთა კონსტიტუცია, ჩვენი თვალსაზრისით, მხოლოდ ფაქტობრივად მოქმედებდა. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები გაიმართა საბჭოური კონსტიტუციის რეგლამენტაციის გარეშე, ხოლო პარტიები რეგისტრაციაში გაატარეს არა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა, არამედ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, რომელიც პარიტეტის პრინციპით იყო დაკომპლექტებული. თანაც ეს რეგისტარცია არ ყოფილა რეგლამენტირებული არსებული კონსტიტუციით.

გარდამავალი პერიოდის დროებითი ძირითადი კანონი უნდა დაფუძნდეს არსებულ კონსტიტუციაზე მასში ფუნდამენტური ცვლილებებისა და დამატებების შეტანის გზით, რათა არ შეიქმნას კონსტიტუციური ვაკუუმი ახალი ეროვნული კონსტიტუციის შექმნამდე“.

თანამემამულენო!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობას, მიუხედავად საქართველოს 1991-92 და 1993 წლების ოკუპაციისა, კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერიათ! ამიტომ გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია და კანონიერი ეროვნული ხელისუფლება დღესაც განაგრძობს იურიდიულად არსებობას!

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია იურიდიულად ერთიანი და განუყოფელია!



დღის წესრიგში დგას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სამართალმემკვიდრეობის ფაქტობრივი აღდგენის, კონსტიტუციური ვაკუუმის თავიდან აცილების, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დაცვისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფაქტობრივი ამოქმედების საკითხი.

თანამემამულენო, მოგიწოდებთ მხარი დაუჭიროთ კანონიერი ხელისუფლების-საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფაქტობრივ აღდგენას.

კანონიერი ხელისუფლების ფაქტობრივი აღდგენა დაგვიბრუნებს თავისუფალსა და დამოუკიდებელ სამშობლოს, დაგვიბრუნებს შიდა ქართლსა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, დაგვიბრუნებს სამუშაო ადგილებს, კუთვნილ ხელფასებსა და პენსიებს, გაგვათავისუფლებს ხუნტის მიერ აღებული მილიარდობით დოლარის ოდენობის საგარეო ვალებისაგან, რომელთა გადახდას ჩვენი ათი თაობაც ვერ შესძლებს. ქვეყანას დაუბრუნდება რესპუბლიკის გარეთ გატაცებული მილიარდობით დოლარი.

კანონიერი ხელიუფლების ფაქტობრივი აღდგენით დავიბრუნებთ წართმეულ თავისუფალ ნებას, აღვიდგენთ შელახულ ღირსებას!

ღმერთი იყოს სრულიად საქართველოს მფარველი!

თბილისი

## საქართველოს სხვა ახალი ამბები

**დედაქალაქი:**

● ნაძალადევის რაიონში ცოტნე დადიანის გამზირზე, „მრომითი რეზერვების“ წინ, აშენდა ბენზინგასამართი სადგური „კანარგო-სტანდარტი“, რომელიც მთლიანად მოიცავს ტროტუარს და ნაწილობრივ კვეთს კიდევ სავალ ნაწილს. გარემოს არქიტექტურული სახის შებღალვის გარდა (რაც დღევანდელ თბილისში არც არავის უკვირს) ეს ნაგებობა და მასთან დაკავშირებული საქმიანობა საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, და მეტადრე ბავშვებს, - იქვე მდებარეობს თბილისის X საშუალო სკოლა: სკოლის მოსწავლეები სკოლამდე მისვლა - მოსვლისათვის იძულებულნი არიან სამანქანო გზას დაადგნენ (რადგან სხვა გზა არც არსებობს). ქალაქის არქიტექტურული მოწყობის თავკაცთაგან დღეს თავს, ქკუას და სინდისს არავინ მოელის, მაგრამ, საინტერესოა, რეს ფიქრობდნენ თუ არა ისინი რაიმე შფოთვას, საკუთარი ეწვილი შემთხვევით იმ ადგილებში რომ დაენახათ?

● საქართველოს ცენტრალურმა ტელევიზიამ და [?]მოსახლეობას ამცნო თბილისის მერიის განზრახვა ლისის ტბის ნაპირას ახალი სასაფლაოს გახსნის შესახებ.

ლისის ტბის სარეკრეაციო (დასასვენებელ) ცენტრში სასაფლაოს გახსნა გამოიწვევს საბურთალოს მოსახლეობის ნაწილის მასობრივ მოწამვლას და ამ რეგიონში სიკვდილიანობის ზრდას. ქალაქმშენებლობის ნორმებისა თუ ბუნებრივ ჰიდროლოგიური პირობების მიხედვით მერიის გადაწყვეტილება დანაშაულებრივია.

ლისის ტბა მდებარეობს ლისის ქვაბულის ყველაზე დაბალ ადგილას. ტბა საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა (გრუნტის წყლებით (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VI). მიწისქვეშა წყლები და ლისის ტბა მინდელის ქუჩიდან გმირთა მოედანსა და ჩელიუსკინელთა ხიდამდე არსებული ფერდობების მადრენირებელ ხევებს, ღელეებს, ჩანჩქერებსა და წყაროებს ასაზრდოებენ. აღსანიშნავია, რომ მიწისქვეშა წყლები გადიან დაბზარულ ქვიშაქვებს, რომლებსაც ზემოდან გადაფარებული აქვთ თიხაფიქლები და მცენარეული ფენა.

მიწისქვეშა წყლებით სავსეა ალ. ყაზბეგისა და ვაჟაფშაველას გამზირებზე აშენებული საცხოვრებელი სახლების სარდაფები. მიწისქვეშა წყლებმა წლების განმავლობაში ნელ-ნელა გამორეცხა გრუნტის წვრილი ნაწილაკები; ამის შედეგად ყაზბეგის გამზირის №1 სახლი დაიბზარა, მისი მიშენებული შვიდსართულიანი კუთხე კი - „მოულოდნელად“ დაინგრა. გრუნტის წყლების მიზეზით იმთავითვე დრენირებულია საბურთალოს ჰიპოდრომი. საბურთალოს უხარისხოდ გაყვანილი წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელების მიწისქვეშა წყლებთანაა კონტაქტში.

ბიოლოგიურად შეუმოწმებელ, უკონტროლოდ, თვითნებურად მოწყობილ წყაროებს გ. შავგულიძის ქუჩისა და ნუცუბიძის პლატოს III მიკრორაიონის მოსახლეობა საყოფაცხოვრებო მიზნით იყენებს ქურქლის, ტანსაცმლისა და ავტომანქანების გასარეცხად.

2000 წლის მშრალი ზამთრისა და იშვიათი გვალვიანი ზაფხულის მიუხედავად ზემოთნახსენები ღელეების, ჩანჩქერებისა და წყაროების დებიტი უმნიშვნელოდ შემცირდა.

რაც შეეხება ლისის ტბას- ის ზაფხულში თითქმის დამშრალა და ჭაობს დამსგავსებია. 2000 წლის 8 ოქტომბრის მონაცემებით ტბის დონე აწეული იყო; თუმცა სხვა დროსთან შედარებით მისი ნაპირებია 15-20, 40-50 მ-ით უკან იყო დახეული.

თბილისის მერიის ხსენებული განზრახვასთან დაკავშირებით მხოლოდ ეკოლოგიის მინისტრმა ჩხობაძემ ტელევიზით გამოთქვა „პროტესტი“. თუმცა მან ლისის ტბა და მისი შემოგარენი მხოლოდ სარეკრეაციო ზონად ჩათვალა. თბილისის მერმა ვ. ზოდელავამ რადიოჟურნალისტ ილია კევლიშვილთან საუბრისას დემაგოგიური კორიანტელი დააყენა და ყველაფერი მცხეთის რაიონის გამგებლობას გადააბრალა; მკვეთრი ეპითეტებით შეამკო მისი არარსებული სახელის გამტეხი პიროვნებები.

ლისის ტბაზე ახალი სასაფლაოს გახსნის განზრახვასთან დაკავშირებით, ალბათ, უზურპატორი ხელისუფლების შიდა, დუმს გეოლოგიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტი, მშენებლობისა და ურბანიზაციის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები, მეცნიერებათა აკადემიის ეკოლოგიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტები, თბილისის ორი სან-ეპიდემიური სადგური.

## ინტერვიუ პოლიტიკურ ოპონენტთან

(დასაწყისი წინა ნომერში)



-ცხინვალის რეგიონში რაც კეთდებოდა, იყო გაუმართავი. ამ შეცდომებზე მე მთავრობის სხდომებზე ნაკლებად ვლაპარაკობდი, ვიდრე გარეთ, პირად ლაპარაკში, სამწუხაროდ, იქ ჩემი პოზიცია არ გავიდა. ერთადერთში გავიდა, ერთადერთში, იქ უნდა დანიშნულიყო მილიციის უფროსად ერთი ცუდი კაცი და მე ის ცუდი კაცი არ დავანიშნინე...

ამ დროს „სახალხო ფრონტის" ოფისში, სადაც საუბარი მიმდინარეობდა, შემოვიდა ერთ-ერთი „სახალხო ფრონტელი" ავთანდილ იმნაძე, რომელიც ბატონი ნოდარ ნათაძის თხოვნით ოთახში დარჩა და პერიოდულად ერთვებოდა ინტერვიუში, ძირითადად, ნათაძის აზრის გასამყარებლად. ბატონმა ნოდარმა კი განაგრძო:

-ახლა რაც შეეხება მოვლენებს უკვე მოსკოვის პუტჩიდან დაწყებული გადატრიალებამდე, აქ უკვე პოლიტიკის კარდინალური საკითხები იყო. ზვიადს უსაყვედურებენ რას, პირველ რიგში, რომ მან ალღო ვერ აუღო რაც ხდებოდა გეკაჩეპეს გარშემო, მან დაიჭირა ანტიგეკაჩეპისტური პოზიცია და ამით საქართველო ძალიან დაზარალდა.

ეს გარეგნულად მართალია. ანტიგეკაჩეპისტური პოზიციით, საქართველოს საკმაოდ მორყეული იმიჯი გასწორდებოდა ძალიან, მაგრამ ზვიადმა რომ ეს არ გააკეთა, ეს პრინციპულად მართალი იყო. მე ამაში არ გავამტყუნებ. ზვიადმა ასეთი პოზიცია აირჩია_ კარგი რუსი და ცუდი რუსი რუსია, და ამიტომ იქ გორბაჩოვი იქნება, თუ სხვა ვინ კაციჭამია, საქართველოსათვის ეს სულერთია. ამიტომ „ჭკვიანი დისტანცია" დაიჭირა. მას რომ მკერდში მუშტების ბრაგუნი დაეწყო, ჩვენ წინააღმდეგები ვართ, ამას მთელი ძალიან გაამწვავებდა და ჩვენ გამოვიდოდით, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი შედარებით ან, თუ გნებავთ, ყველაზე პროგრესული ნაწილი, ვინმერე, ნაწილი. ეს კი არ იქნებოდა სწორი. ამიტომ ამაში ზვიადს არ გავამტყუნებ. ჩემი აზრით, მისი დიდი შეცდომა იყო ის, რომ გვარდიას შეუცვალა სტატუსი და მეორე დიდი შეცდომა ის, რომ გეკაჩეპეს დამარცხების შემდეგ არ აღუდგინა სტატუსი. მე მაშინ ზვიადთან მქონდა რაღაცა დაძაბული ურთიერთობა, უფრო მისი მხრიდან, ვიდრე ჩემი მხრიდან. ამიტომ ამ თემაზე მე პირადად არ დაველაპარაკე და ამას ძალიან ვნანობ, სხვისი პირით შევუთვალე, გამოაცხადე მეთქი საქართველოში არმიის შექმნა, საქართველოს მაშინ არმია არ ჰყავდა; არ ვიცი იმ კაცმა გადასცა თუ არა...

*-თქვენ იყავით სამხედრო საბჭოს კონსულტანტი, მერე პარლამენტის წევრიც ბრძანდებოდით... ასე გამოდის, რომ თქვენ ყველაზე მეტად ურთიერთობა გიჭირდათ გამსახურდიას ხელისუფლებასთან, ან ასე ვთქვათ, ზვიად გამსახურდიასთან? იმ ხანმოკლე პერიოდში, როდესაც კანონიერი, ეროვნული ხელისუფლება მართავდა ქვეყანას, თქვენ ამბობთ, რომ გქონდათ უამრავი შენიშვნა; დანარჩენთან მეტი დრო დაჰყავით, ისინი ნაკლებად გაიზიარებდნენ?. დღეს ჩვენ გავცვალეთ საანალიზო ათწლეული, რომლიდანაც მხოლოდ ერთი წელს მართავდა საქართველოს, და თქვენ ამბობთ, რომ სწორედ ის იყო გაუსაძლისად შეცდომებიანი, მაგრამ ამის შემდეგ იყო და არის 10 წელი, როდესაც აღარ ვმღერით, და თქვენ მაინც იმ წელს მიიჩნევთ განსაკუთრებით მძიმედ თქვენთვის?*

-როგორ გეკადრებათ. მე თქვენ ერთხელ უკვე გითხარით, რომ მე არავისთან ურთიერთობა არ მიჭირდა, მე მკაფიოდ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ეს მეტ შედეგს იძლეოდა, ზოგში _ ნაკლებს და ზოგ შემთხვევაში არავითარ შედეგს არ იძლეოდა. თქვენ რომ მე კითხვას ასე მიფორმულებთ, ახლოს იყავი ერთ ბანაკთან, მეორე ბანაკთან, მესამე ბანაკთან... რას ნიშნავს ახლო ვიყავი, გეოგრაფიულად ვიყავი ახლო?

*-ხელისუფლებაში ბრძანდებოდით და ...*

-არა, ბატონო, არა. მე იმათთან ახლოს არასდროს არ ვყოფილვარ, გარდა გეოგრაფიულისა, ვინც იყვნენ ისინი, მე ვიცოდი. მე ჩემი ხაზი არასოდეს არ გამიმრუდებია. შევარდნაძის ჩამოსვლამდე რომ იყო ტრიუმვირატი, საკონსულტაციო საბჭოში ვიყავი და სწორად მოვიქეცი რომ ვიყავი, რადგანაც მეკითხებოდნენ რჩევებს საქართველოს შესახებ...

*-თუ ითვალისწინებდნენ თქვენს რჩევებს?*

-ჰა და ჰა, ჰა და ჰა. იმ საბჭოში მე ყველაზე უკეთ ვიცოდი, რა ხდებოდა ცხინვალში. შექმნეს კომისია ამ რეგიონისთვის და ამ კომისიის სათავეში დაუყენეს უნიჭო, დამპალი კომუნისტი, მილიციის გენერალი სანდრო კავსაძე. დაარქვეს ამ კომისიას რაღაცა შერიგების რაღაცა, მე ვთქვი, რომ კომისიას ეს სახელი არ შეიძლება ერქვას, რადგან ეს რაღაც კაპიტულანტურ ელემენტებს შეიცავს და უნდა ერქვას ესა და ეს. შემიყვანეს მაშინ ამ კომისიაში, მერე მე არ დავეთმე და იმ კომისიის ხელმძღვანელად დამნიშნეს. იქ საქმეს ვაკეთებდი, მაგ., იქ არის გზა, რომელიც გადის ქართულ სოფლებში, მე მოვახერხე ის გზა და ის გზა ამოქმედდა, შევისწავლე და დოკუმენტურად დავასაბუთე, რომ ცხინვალის რეგიონიდან გასული იყო მაქსიმუმ 23 ათასი ოსი, მაშინ როდესაც რუსული საპროპაგანდო მანქანა ავრცელებდა ძალიან დიდ ციფრებს. ამით ხელი შევუშალე იმაში, რომ საქართველოდან გასულებთან ერთად კიდევ 120 ათასი სხვა ოსი შემოესახლებინათ.

აი, ამას მე გავაკეთებდი. ვინც არ უნდა მართავდეს საქართველოს, მე რომ შემეძლოს რაღაცა ნებისმიერი გავაკეთო საქართველოსთვის, მე ამას გავაკეთებ. შევარდნაძე რომ ჩამოვიდა, ის საკონსულტაციო საბჭო გადააკეთეს სახელმწიფო საბჭოდ, აი, მაშინ კი ვუთხარი, ნურას უკაცრავად, ჯიგრებო, ეს არის უზურპატორული ორგანო და მე ამ ორგანოში არ ვიქნები. ამის შემდეგ მე იქ ყოფნა შევწყვიტე. ახლა, რაც შეეხება პარლამენტს, რომელშიც მე ვიყავი, მე იქ ვიყავი, გეოგრაფიულად, ხან ერთ მეტრზე ვიყავი შევარდნაძისაგან და ხან ნახევარ მეტრზე და ხან, 50 მეტრზე, მაგრამ პოზიციურად მე იმასთან ახლოს არასოდეს არ ვყოფილვარ.

*-ფორმალურად, შევარდნაძისათვის მხარში ამოდგომა არ იყო ის, რომ უზენაესი საბჭოს კანონიერი დეპუტატი, საქმეო გზით მოწვეულ პარლამენტში აღმოჩნდა?*

-ისა კი არ იყო პარლამენტი, არა, ბატონო, თქვენ მეთოდურად არასწორად სვამთ კითხვას. ეს იყო საქართველოს პარლამენტი. „საქმეო" არ არის ზუსტი ცნება. ქვეყანა, რომელსაც ჰყავს პარლამენტი, ბევრად უფრო მყარი საერთაშორისო სტატუსის პატრონია, ვიდრე ის, რომელსაც ხუნტა მართავს.

*-მაშასადამე, ეს ხელისუფლება თქვენი აზრით ასევე სრულფასოვანია, როგორც თქვენი დეპუტატობა უზენაეს საბჭოში?*

-ახლა იცით რა, თქვენ ერთი თემიდან გადადიხართ მეორე თემაზე. ქვეყანას სჭირდება პარლამენტი, თავისი შინაგანი ორგანიზებულობისათვის. ვინაიდან უზენაესმა საბჭომ ვერ გამოიჩინა ის ფხა... თქვენ შემაწყვეტინეთ წეღან და ვერ დავამთავრე გეკაჩეპეს ამბავი... გეკაჩეპეს დროს მე მივედი იქა, თან იარაღი წავიღე და ვთქვი, გარეკილ პარლამენტს, წასულ პარლამენტს, ჯობია დახვრეტილი პარლამენტი! ჩვენ აქ ვიყოთ, ჩვენ გავუწიოთ წინააღმდეგობა, მაგრამ ხალხს, ზვიადმა იცოდა ხოლმე ხალხის დაძახება საშველად, ხალხს საშველად არ დავუძახოთ. პოდა, იქ ავთო იყო, ავთო რცხილაძე, დიდი ჭკუის კოლოფი არც მაშინ ყოფილა და არც ახლაა, მაგრამ მაშინ — კი, რასაკვირველია; დანარჩენებს ხმა არ ამოუღიათ. აი, გადატრიალების შემდეგ მე პირადად, ექვსჯერ ვცადე იმ უზენაესი საბჭოს შეკრება, რომ გვეთქვა, ჩვენ ვართ და არავის არა ვიძახით; ერთხელ მოვახერხე იმ დეზერტირის _ კაკო ასათიანის მოთრევა, ნემსებზე იჯდა და მერე ადგა და გაიქცა., კვორუმამდე ვერ მივედით. ეს უზენაესი საბჭოს მხრიდან საქმის ღალატი იყო. ეს უნდა გაეკეთებინა მაშინ.

*-უზენაესი საბჭო ხომ იკრიბებოდა, ბატონო ნოდარ, არა? სესიები ტარდებოდა.*

-ტარდებოდა საქართველოს გარეთ, გარეთ! მაგას ფასი არა აქვს. შენ საქართველოში უნდა იჯდე, ან უნდა მოკვდე საქართველოში ან უნდა გაიტანო შენი_ აი ესაა დეპუტატის მოვალეობა. და არა, ბოდიში და სადღაც, სადღაც მთვარეზე სესიის ჩატარება.

*-ბატონო ნოდარ, ალბათ, იცით, მაშინ ქუჩებში ხალხს ხვრეტდნენ. დეპუტატი მოკლეს, სხვებს აპატიმრებდნენ და მე პირადად მაკვირვებს, თქვენ (და კაკო ასათიანს) ვინმე ხომ რატომ მოეცეს შეკრების საშუალება? ასე ადვილი იყო პრეზიდენტისა და მისი ერთგული დეპუტატებისათვის მაშინ საქართველოში მუშაობა?*

-ერთი კი კარგი გააკეთა იქ, გროზნოში სესიამ, მიიღო დადგენილება და ეს დადგენილება დღეს უკვე მუშაობს, რომ ეს ხელისუფლება არის უკანონო და მის მიერ განხორციელებული არც ერთი აქტი არ ჩაითვლება კანონიერად, და ძალიან კარგი, იმიტომ, რომ ჩვენ ამათი გაკეთებული კაპიტულაციებიდან ძალიან ბევრი რამ გვექნება გასაუქმებელი. ახლაც, უზენაესი საბჭოს სესიები რომ მიდის, კარგია, რადგან განახლებული გარანტი გაკეთდა პარტიების სახელით და ეს ძალიან კარგია. რაც შეეხება ხელისუფლების საკითხს, შედეგიანი საქმის გაკეთება მხოლოდ საქართველოში შეიძლებოდა. იქ ამას ძალა არ ჰქონდა. უნდა შეკრებილიყო უზენაესი საბჭო. ახლა, რაც შეეხება არჩევნებს, ქვეყანას სჭირდება პარლამენტი და ამიტომ არჩევნები რომ ჩატარდა, ეს იყო სწორი.

*-თქვენ ხომ იყავით კანონიერი უზენაესი საბჭოს დეპუტატი იყავით, ბატონო ნოდარ, ამათ არჩევნებში რომ მიიღეთ მონაწილეობა არ გიფიქრიათ, რომ თქვენს სტატუსს ჩრდილი ადგებოდა?*

-უზენაეს საბჭოში მე მონაწილეობას ვეღარ ვიღებდი, რადგანაც ფორმალურად გაუმართავი ფორმით მე იქიდან გამრიცხეს. დეკემბრის ბოლოს გამრიცხეს. მე ვიყავი მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატი, არ შეიძლებოდა ჩემი გარიცხვა, მაგრამ გამრიცხეს. (ავთანდილ იმნაძე ამბობს: მეც გამრიცხეს, ორივე გაგვრიცხეს...)

*- ბატონო ნოდარ, გამოდის, რომ როდესაც შევარდნაძის პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობდით, არც იყავით და არც მიიჩნევდით თავს საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად, მაგრამ მაშინ რომელი სტატუსით ცდილობდით პუტჩის შემდეგ უზენაესი საბჭოს დეპუტატების შეკრებას?* ... რაც შეეხება არჩევნების პროცედურას. არჩევნების შედეგი ძალაშია იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები ჩატარდა რეალურად, თუ მასულთა აზრი ასახა არჩევნების შედეგებმა, ყოველ შემთხვევაში, უცხოელი დამკვირვებლები იყვნენ და მათ თავიანთი დასკვნა წარმოადგინეს. მეორე იყო მონაწილეობა, მეორე იყო. უფრო მეტად გაყალბდეს, ვიდრე იყო, მაგრამ ჩვენთვის ხელსაყრელი იყო.

-მე ასეთი კონცეფცია მაქვს, დარწმუნებული ვარ, ზვიადმა იცის ეს კონცეფცია, მაგრამ რომ იმოქმედოს ამ კონცეფციით, საჭიროა შეთანხმება ამ საკითხებში. იურიდიულად, გადატრიალების შემდეგ დროს მე ვყოფ სამ პერიოდად: I. გადატრიალებიდან არჩევნებამდე _ არსებობს უზენაესი საბჭო, რომელიც არის აბსოლუტურად კანონიერი და არსებობს ეს ხუნტა, რომელიც არის აბსოლუტურად უკანონო. II. 11 ოქტომბრის მიხედ არჩევნები. 11 ოქტომბრის შემდეგ არსებობს უზენაესი საბჭო, რომელიც არის აბსოლუტურად კანონიერი და არსებობს პარლამენტი, რომელიც არის ნაწილობრივად კანონიერი. III. შემდეგ გადის უზენაესი საბჭოს ვადა...

*-თუ შეიძლება კომენტარიც გააკეთეთ, უზენაეს საბჭოს, თქვენი აზრით, ვადა გასდის, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობით შეაჩერეს მისი მოქმედება?*

-რა თქმა უნდა, გასდის და უზენაესი საბჭო იგრძელებს თავის ვადას გარკვეული იურიდიული პროცედურით, და ამის შემდეგ უკვე უზენაესი საბჭოს ხელისუფლება არის ნაწილობრივად კანონიერი, არჩევა მეორე პარლამენტიც 1995 წელს, იმავე ფაქტორის გამო, რომლითაც წინა პარლამენტი არის ნაწილობრივად კანონიერი, ნაწილობრივად კანონიერია, კერძოდ იმიტომ, რომ ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური ძალა, გამსახურდიას პრეზიდენტობის დროინდელი გუნდი, ერთ-ერთი რეალურად არსებული პოლიტიკური ძალა არჩევნებში არ მონაწილეობს. ე.ი. არის ნაწილობრივად კანონიერი უზენაესი საბჭო და ნაწილობრივად (იმიტომ რომ გაგრძელებული აქვს ვადა) კანონიერი პარლამენტი. IV _ 99 წელს ხდება ახალი არჩევნები და ამ არჩევნების წინ ეს ნაწილობრივად კანონიერი პარლამენტი ახდენს სახელმწიფო გადატრიალებას ზემოდან. ანუ შემოაქვს ისეთი საარჩევნო კანონი, რომელიც ფაქტობრივად, მთელ აქვს არიმეჯს საარჩევნო უბნებს, საარჩევნო კომისიას დაკომპლექტება არის ფაქტობრივად მობილიზებული ხელისუფლების მიერ და ამგვარად კანონი შეიცავს ტოტალური გაყალბების შესაძლებლობას. ეს შესაძლებლობა სავსებით რეალიზდება საპარლამენტო არჩევნების დროს და სავსებით რეალიზდება საპრეზიდენტო არჩევნების დროს. ასე რომ პარლამენტი არის არა ნაწილობრივად, არამედ აბსოლუტურად უკანონო, და პრეზიდენტიც არის აბსოლუტურად უკანონო.

*-როგორ განვითარდება მოვლენები იურიდიული თვალსაზრისით?*

-მითვლით ეს არჩევნები, პარლამენტის

(დასასრული მე-6 გვერდზე)

## საქართველოს დაბეჩავების ასეთი პოლიტიკით შევარდნაძე საკუთარ თავს მისაღებს ხდის მათთვის

---

(დასასრული)

მოუკიდებლობის აღდგენის აქტი, ეროვნული გვარდიის შექმნა, 1991 წლის 23 მარტის დაბა ყაზბეგში მოლაპარაკების დოკუმენტი, აფხაზეთში კონფლიქტის თავიდან აცილება, რუსეთის ჯარებისათვის საოკუპაციო სტატუსის მინიჭება და მათი საქართველოდან გაყვანის დადგენილება და კიდევ, მრავალი სხვა, განა არ არის იმის მაჩვენებელი, რომ საქართველოს ჭეშმარიტად მსოფლიო პოლიტიკოსი მართავდა?

***– ზვიად გამსახურდიას ეროვნული გვარდიის გაუქმებას აბრალებენ...***



- კიტოვანი, სიგუა, ყარყარაშვილი, იოსელიანი... ხშირად გამოდიან აღნიშნული ბრალდებით მაშინ, როცა ეროვნული გვარდიის დაარსების დღიდან იგი შინაგანი ჯარის ნაწილად ითვლებოდა. განა კიტოვანი არ აწერდა ხელს, როგორც შინაგანი ჯარის - ეროვნული გვარდიის სარდალი? ყარყარაშვილი აცხადებს, რომ 19 აგვისტოს ზვიად გამსახურდიას ბრძანებით გაუქმდა ეროვნული გვარდია და შეუერთდა შინაგან საქმეთა სამინისტროს. თუ მათ წერა-კითხვა იციან, წაიკითხონ 1990-91 წლების გაზეთები: „საქ. რესპუბლიკა", „ახალგაზრდა ივერიელი" და სხვ.

***– როგორი იყო ზვიად გამსახურდიას საქმიანობა აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში?***

- იგი „სპორტის სასახლის პროვოკაციას" და მის საპასუხოდ აფხაზეთის დამოუკიდებლობის

# გაგრის აღება მოსკოვის სამმხრივი (ელცინი, შევარდნაძე, არძინბა) შეთანხმების საფუძველზე მოხდა

გამოცხადებას პროვოკაციულს უწოდებდა, ძმათამკვლელ ომში გამარჯვებულად მხოლოდ კრემლს აცხადებდა და მოუწოდებდა ორივე მხარეს კონფლიქტის შეწყვეტით კატასტროფა თავიდან აეცილებინათ.

1993 წლის 20 ივლისს ქართველი ერისადმი, აფხაზეთში დისლოცირებული ყველა ქართველი მეომრისადმი მიმართვაში ბატონი ზვიადი წერდა: „აფხაზეთის პრობლემის გარშემო შევარდნაძის დიპლომატიური თამაში მიზნად ისახავს კაპიტულაციას აფხაზი სეპარატისტებისა და რუსეთის იმპერიალისტური ძალების წინაშე.

– მზადდება ე.წ. „ცხინვალის ვარიანტი", სამშვიდობო ძალების შემოყვანა კონფლიქტის ზონაში და სოხუმის ჩაბარება. ჯერ კიდევ ელცინ-შევარდნაძის შეხვედრისას დაიგეგმა სოხუმიდან მძიმე ტექნიკისა და არტილერიის გაყვანა, რაც ნიშნავს, სოხუმის ჩაბარებას..."

ზვიად გამსახურდია 1993 წლის 24 სექტემბერს კინდღში ხვდება უკანონო სამხედრო შენაერთების მეთაურებს, რომლებიც მის წინაშე სოხუმის დაცვისა და შენარჩუნების ფიცს დებენ. შევარდნაძის მიერ სასწრაფოდ მიღებული ზომების შედეგად სამხედრო შენაერთების მეთაურები გამოთხოვილ იქნენ აღნიშნული ტერიტორიიდან, რომელსაც შემდგომ სასწრაფოდ მოჰყვა არა მარტო სოხუმის, არამედ გალის ჩაბარებაც.

ეს სტრიქონები იწერებოდა ერთი კვირით ადრე აფხაზეთის დამკარგავ სოჭის ხელშეკრულებამდე და მასში იყო მოწოდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ...

1993 წლის 24 სექტემბერს კატასტროფის წინაშე მდგარი აფხაზეთის მოსახლეობის გადასარჩენად და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით, სამშობლოში დაბრუნებული პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, როგორც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, კინდღში ხვდება უკანონო სამხედრო შენაერთების მეთაურებს, რომლებიც მის წინაშე სოხუმის დაცვისა და შენარჩუნების ფიცს დებენ. ხუნტის მეთაურის მიერ სასწრაფოდ მიღებული ზომების შედეგად სამხედრო შენაერთების მეთაურები გამოთხოვილ იქნენ აღნიშნული ტერიტორიიდან, რომელსაც შემდგომ სასწრაფოდ მოჰყვა არა მარტო სოხუმის, არამედ გალის ჩაბარებაც.

***– როგორ ფიქრობთ, რა სამართლებრივი პოლიტიკური მეთოდებით შეიძლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საქართველოს იურისდიქციაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დაბრუნება?***

- უკანონო ხელისუფლებას არც სამართლებრივი ბერკეტები და არც პოლიტიკური ნება არ გააჩნია წინ აღუდგეს სეპარატისტთა ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს. აქედან გამომდინარე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენი-




პუტჩის შედეგად გადამწვარი კოლხური კოშკი

## უზენაესი საბჭო

სა და ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცების შეჩერების გასაღები არის: ა) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აღდგენა, რაც იურიდიულად გააუქმებს ყველა კაპიტულანტურ ხელშეკრულებებს; ბ) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების - 1991 წლის 15 სექტემბერს რუსეთის ჯარებისათვის საოკუპაციო სტატუსის მინიჭებისა და მათი გაყვანის შესახებ - ამუშავებით მოხდება ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გათავისუფლება; რეფერენდუმის შედეგების, როგორც უმაღლესი ძალის იურიდიული დოკუმენტის გამოყენებით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საქართველოს სამართლებრივ-პოლიტიკურ სივრცეში დაბრუნება მხოლოდ კონსტიტუციური უწყვეტობის სამართალმემკვიდრეობის პრინციპის შენარჩუნებით კანონიერი უზენაესი საბჭოს აღდგენით ფუნქციონირებით არის შესაძლებელი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საქართველოს დაშლა-დაქუცმაცებისა და კატასტროფისაგან მოსახლეობის გადარჩენა.

***– დიდი მადლობა საინტერესო დიალოგისათვის***

ესაუბრა დავით ლომსია

## ლიტერატურა

# ცერა

### ტარიელ ფუტკარაძე

ტელეფონების წიგნაკი... გვარებსა თუ ნომრებს ვაყოლებ თვალს: მინდა თუ არა ვინმესთან შეხმიანება, ვერ გამომიკვლევთავს: თითქოს, არც სიმარტოვე მსიამოვნებს, წაკითხულიც, სადღაც გვერდით, ნისლად ეფინება პასიურ მეხსიერებას; ვერც სადმე წასვლისთვის საჭირო საინიციატივო ძალას ვიკრებ... ალბათ, ამიტომ, მდორედ ვავლებ თვალს ახალ ნაცნობთა გვარებსა თუ ტელეფონის ნომრებს... ეს განწყობა ნაცნობია ყველასათვის...

მოულოდნელმა სიახლემ შემაჩერა! გვართა რიგის ერთი პატარა მონაკვეთი ციმციმებს: ვიღაც უხმაუროდ მიღიმის უხმაურო სიპატარავიდან!.. ხმაურიანი შემოწმებაც არსებობს, როცა სახე ერთიანად ბედნიერადაა ანთებული... ის განსაკუთრებული იყო: ერთდროულად ბედნიერი, სევდიანი და კიდევ რაღაც, სხვანახნაგოვანი ღიმილი...



-ცერა! რა პატარა ხარ! თუმცა ეს ყველაფერი ხომ მოჩვენებით-ფარდობითია! სხვაგვარად ხომ წარმოსახვად ჩაგთვლიდი! და შენც ეს გზა ამიტომ აირჩიე! ამ განწყობის ფონიც კარგად შეარჩიე... შენი სახელი-გვარი და ტელეფონის ნომერი აამეტყველ-აადიმე! შენ ახლა უკვე მართლა შეგიძლია, შენი დიდი რომანის გმირების *ცერასა და კიბას მსგავსად* დალაშქრო საოცნებო პლანეტები; ჩვენთვის უსაშველოდ მიუწვდომელი ექსპედიციები დაგეგმო და დაადასტურო შენეული თეორიული პოსტულატები; მახსოვს, რა დაბეჯითებით და, ამავე დროს, მეოცნებე თვალებით მესაუბრებოდი მათზე... ახლა უკვე; შენივე ცერა თითებით შეგიძლია შემოიცეკვ-შემოიფრინო სინათლის წლებით დარახტულ-დაკაზმული ციური პლანეტები; შეგიძლია კოსმიურ გზად გამოიყენო დედამიწიდან არეკლილი სხივები და დაუსრულებრივ იმოგზაურ-იხეტიალო ვარსკვლავებს შორის... მე ბედნიერი ვარ, რომ ისევ გიხილე; ეტყობა, მეგობრობამ შემაძლებინა უხორცგარსო სულის დანახვა... ალბათ, ბევრად ვერ შეგცვალა ოდენსულად ქცევამ? ისევ ფიქრობ ბაბილონამდელი სამყაროს სივრცეზე?

-ცერა! ვიცი სულს ეროვნული ვნებები არა აქვს; მითუმეტეს შენ არც აქ გეხარჯებოდა ენერგია ეროვნული ემოციების დასაოკებლად; აქაც სულიერად თუ გენეტიკურად კოსმოპოლიტი იყავი... მაგრამ მაინც მინდა გკითხო: სულსაც ხომ იზიდავს სამშობლო, აქაური სამშობლო; არა მხოლოდ ხორციელ ნათესავთა თუ ნათესავ სულ-ხორცთ სავანეს გამო, არამედ კიდევ "სხვა რაღაცის" გამო?

-...რა თქმა უნდა, კიდევ რჩება რაღაც და ის "რაღაც" ყველაზე მთავარია! მე გეტყვი ჩვენს ახალ აზრს: შენ უკვე მართლა შეგიძლია შენეული კოსმიური შესაძლებლობებით შეამოწმო მისი სისწორე... მაშ ასე:

დედამიწაზე ცხოვრობენ *მიკროსულები და მაკროსულები:* მიკროსულები - ადამიანები - გარკვეულ მაკროსულთა - ერთა - უშუალო შემადგენლებად არიან წარმოდგენილი; ეს ურთიერთშეპირობებულობა ბროწეულს შემიძლია შევადარო: ბროწეულის მარცვალი ერთი მიკროსულია, ერთი ბროწეული (ნაყოფი) - ერთი მაკროსულია - ერთი ერია; ერთი ბროწეულის ხე - ერთი პლანეტა, სხვა ბროწეული სხვა პლანეტა და ა.შ. ინდივიდები არიან მიკროსულები: რა თქმა უნდა, გლობალური ინდივიდები არიან მაკროსულები: ეს უკანასკნელნი დიდხანს ცოცხლობენ: საუკუნობით, ათასწლეულობით და თავიანთ წიაღში ათასობით მილიონ მიკროსულს ატარებენ, აძლევენ ფორმას, შინაარსს... გახსოვს ალბათ, როგორ გადაადგილდება ხოლმე ფუტკრის მართვე - ასე ერთ გუნდად შექმნილი მთლიანობა - ერი - საუკუნეების გზებზე გადადის და გადადის... ასევე, კაცობრიობა, როგორც დედამიწის სული-ათასწლეულებში გადადის და გადადის... ასევეა, ალბათ, სხვა პლანეტების სუნთქვაც თუმცა, სიტყვა გამექცა; ეტყობა, შენი წიგნიდანაც წამოვიდა აზრების ჯარი ჩემს ნააზრევთან შესახმიანებლად... ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ *კიბას ტექსტს* დაემსგავსა ჩემი ნაწერი! მე მაკროსულების არსებობის შესახებ გეკითხებოდი... ეს მაკროსულები ეროვნებებში რომაა მოაზრებული უპირველეს ყოვლისა, ხომ სულად არსებობს? მისი (მაკროსულის) სასიცოცხლო ენერგია ის სიკეთეა, რომელსაც მიკროსულები სჩადიან; სხვადასხვა თაობის მიკროსულების მცირე-მცირე სიკეთენი ფუტკრის ნექტარივით გუნდ-გუნდ ნაგროვები, გარსად აკრავს და საკვებ თაფლად ადგება არა მხოლოდ ერთ კერძო მაკროსულს - ვთქვათ, სკა- ოჯახს, ერს, არამედ, მთლიან დედამიწას... ლოცვისა და სიკეთის მაღლი ჯებირად *უდგას სამყაროს და იცავს მას წალეკვა-ნარწყმედისაგან;* სიბნელეში დანთქმისგან... გახსოვს ალბათ, წერილები: "დღევანდელობა წარსულში ანუ სანახები ბაბილონის გოდოლიდან"; "პერის პარპაში", "ბეთლემელი მწირის გამარჯვება"... აი, ასეთი სახე მიიღო იქ დაწყებულმა ფიქრებმა... ხორციელთაგან ვინ დაასაბუთებს დღეს მათ სისწორ-სიმრუდეს? სხა გაზომილებიდან მხოლოდ შენ ერთადერთს ჩემს მეგობართა შორის შეგიძლია კოსმოსიდან დაინახო ეს ყველაფერი... აქ, როცა არაგვისპირული ლომიაურით ვაშორიშორებდით ქარის წისქვილებად აღმართულ საპაექრო დაშნებს, ე.ი. როცა შენც ხორცის ტყვე იყავ, მაინც სუბიექტურად სჯიდი... ახლა? ახლა ალბათ უფრო მომიახლოვდები...

-ვიცოდი! მეტნაკლებად ჩვენ ორივენი ისევ მართლები ვართ, ოღონდ ჩემს სასარგებლოდ! მაინც ცალსახად დამიდასტურე, რომ მაკროსული უფრო მაღალი იერარქიის რეალობაა, ვიდრე ადამიანის უკვდავი სული! შენ, ალბათ ამ საფეხურის გამოტოვება უფრო გინდოდა?!

-ღმერთს მადლობა! მაგრამ, ჩემგან ნუ ელი იმავეს: ალბათ შენ უფრო სულგრძელი იყავ ყოველთვის... რა ვქნა, მზის სისტემის სულის არსებობას ვერ ვიჯერებ: გეთანხმები, რომ არსებობს პლანეტსული- მესამე იერარქია, მაგრამ მის შემდეგ უკვე ღმერთია; ყოვლისმომცველი!



- რასაც შენ უსასრულო კოსმოსის კანონზომიერებებს არქმევ, სწორედ ისაა ღმერთი! ტერმინოლოგიურ კამათს ემსგავსება ეს ყველაფერი...

- მე ბედნიერი ვარ მართლაც! ე.ი. კიდევ შეგვიძლია კამათი... აზრის დასრულებისთვის მაინც გავაგრძელებ: ე.ი. მიკროსული, მაკროსული და პლანეტსული ღმერთის წიაღში მყოფი "მატრიოშკების წყებებია" ერთში - ბევრი ბევრის ერთში - ისევ ბევრი... თუკი რომელიმე საფეხურის იგნორირება მოხდება, კაცობრიობა თუ სამყარო (რაც გინდა დაარქვი) ღმერთს მოწყდება და უმისამართო სვლით სწრაფი დეგრადაციით კატასტროფამდე მივა! უდროო სიკვდილს (და არა გარდაცვალებას!) ფასეულობათა მცდარობა იწვევს და არა ენერგიის ხარჯვა; ფასეულობათა აღრევის დროს ენერგია მიუმართავად იღვრება და მარაგი შევსებამდე (რეგენერაციამდე?) ცარიელდება... ზომიერების პირობებში, ფაქტიურად "პერპეტუმ მობილე" ვიქნებოდით - ამგვარად ჩაიფიქრა უფალმა ადამი... ადამიანი თუ ერი ვერ ახერხებს ენერგიის მიღება-გაცემის შეწონასწორებას, და ამიტომაც, სიკვდილი ჩქარდება! იმიტომ ცხოვრობდნენ დიდხანს ბიბლიური ადამიანები, რომ მათ უფრო მეტი სიახლოვე ჰქონდათ ღვთიურ პირველსაწყისთან... უხეშად რომ ვთქვათ, მათ მოძრაობას ნაკლები ხახუნის ძალა აფერხებდა... ისევ გამექცა სიტყვა! ახლა რომ ვიღაცამ მომისმინოს, ტელეფონების წიგნაკთან მოლაპარაკე გიჟი არ ვეგონები?! მითუმეტეს, თუ ამ აზრებს ყურს მიადევნებს და ჭკუას ვერა!

- მე ყოველთვის ალალად მშურდა შენი გაცისკროვნებული, მაგრამ მაინც საოცრად სევდიან-იდუმალი ღიმილი... ალბათ სწორედ ეს ღიმილია შენი კოსმიური საგზალი... ახლა ხომ მაინც ხარ თავისუფალი და ამ თავისუფლებით ბედნიერი?! პლანეტებზე ფილოსოფიურ ხეტიალში ხომ ვეღარ გბორკავს წუთისოფლის სიტიალე. ტიალი სამხედრო კედარი... გახსოვს ალბათ დავით აღმაშენებლის მეისტორიის ეს ფრაზა...

-კი ბატონო, მეც ვარ ბედნიერი! წინ ბევრი კარგი საქმე მელოდება საკეთებელ- დასამთავრებელი... ვიცი, აქ რა უნდა ვაკეთო და როგორ! ესაა, ალბათ, *ბედნიერების არსი ამქვეყნად!* დრო მჭირდება მხოლოდ, და ალბათ, ისიც მექნება კიდევ... მერე, შემოგიერთდები ჩვენი მანდაური ექსპედიციების ერთობლივ დასაგეგმად, აქ რომ განუხორციელებელი დაგვრჩა, კოსმიურ-სასულეთო ხომალდით ისინიც ავასრულოთ...

-არა, არ ვჩქარობ! პესიმიზმი, ხომ იცი, არ არის ჩემი ხასიათის ნაწილი თუ ცხოვრების წესი.

-მაინც ასე, "აბა დროებით", ცერა!

13-14 აპრილი 1997 წელი

## კადრები ქუთაისის უახლოესი წარსულიდან

# ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი ჩემს თაობას

1988 წლის სექტემბერი. ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი ვარ. ახალი სასწავლო წელი უჩვეულოდ დაიწყო. აღარ ჰგავდა წინა წლებს.

განუწყვეტელი ჩურჩული აუდიტორიაში, დერეფანში, ეზოში, ქუჩაში... გაუთავებელი სირბილი ქუთაისში არსებული არაფორმალური ორგანიზაციების შეკრებებზე. ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის სრული ვაკუუმია: დუმს ტელევიზია, რადიო, პრესა... ერთია მხოლოდ, კომუნისტურმა პარტიამ ხალხისათვის პირის ამოკერვა ვერ მოახერხა, ამიტომაც მაინც გვწვდება თბილისში მომხდარი ამბების ექო: დაბრუნდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, ისევ ჩაუდგნენ სათავეში ეროვნულ მოძრაობას, ისევ გაიღვიძა ქართულმა გენმა, ისევ აჯანყდა ქართული სისხლი... ანთებულები დავდივართ, მხოლოდ ამ საფიქრალში ჩაძირულნი. ერთ დღეს დედაქალაქში ჩატარებული მიტინგის ჩანაწერი მოვისმინეთ. ყოვლად უხეირო ჩანაწერი, ქუჩის ხმაურში ჩაკარგული ხმები, მაგრამ ხარისხი როდი იყო მთავარი. ეს იყო პირველი მიახლოება სინამდვილესთან.

ვგრძნობთ, დუმილი, უნამუსობაა დანაშაულის ტოლფასია. ვიცით, საქართველო მხოლოდ თბილისი არ არის, რომ დედაქალაქს გვერდით დგომა სჭირდება. ყველა მეყსი დაჭიმულია, რაღაცისათვის ვემზადებით და...



ხელისუფლება იძულებული გახდა პოზიცია შეეცვალა. სანქცია გაცა, რათა 12 ნოემბერს თბილისში მიტინგი ჩატარებულიყო. მოთავეები სრულიად საქართველოს მოუწოდებდნენ მიტინგზე.

11 ნოემბერს პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტობას ვეღარ იცნობდით. არავინ მიწყენს, თუ ვიტყვი, რომ განსაკუთრებით ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი აქტიურობდა. დადგა ნაბიჯის გადადგმის დრო. გადაწყდა: თუ რამე შეგვეძლო, ახლა უნდა გამოგვეჩინა სიმტკიცე და გაგვეკეთებინა ის, რასაც საჭიროდ ვთვლიდით და არა ის, რასაც ჩვენგან მოითხოვდნენ. 45-ე აუდიტორიაში შევკრიბეთ. ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ცდილობდა, ჩვენთვის გადაწყვეტილება შეეცვლევინებინა...

დილით თბილისში ვიყავით. მსვლელობა უნივერსიტეტის ეზოდან იწყებოდა, იპოდრომზე უნდა გამართულიყო მიტინგი. ჩვენც შევუერთდით უზარმაზარ ნაკადს - ერთ მუშტად შეკრულ ქართველობას, ერთი იდეით გაცისკროვნებულს და კიდევ უფრო დამუხტულნი და შემართულნი დავბრუნდით მშობლიურ ქალაქში.

ტყუილს ვერ ვიტყვი, პასუხი არავის მოუთხოვია ჩვენი საქციელისათვის. ეგეც არ იყოს, მიტინგი, ასე იყო თუ ისე, ნებადართული გახლდათ.

დედაქალაქიდან დაბრუნებულებს კიდევ უფრო გაგვიძლიერდა მამულიშვილური მოვალეობის გრძნობა. გვსურდა ქუთაისშიც გვეხილა მსგავსი რამ.

დასაწყისი ძალიან ძნელი აღმოჩნდა. არ გვქონდა გამოცდილება, ჯერ კიდევ არ ჩანდნენ მოთავეები.

მაგრამ ყოვლისმომცველმა სურვილმა თავისი გაიტანა. 16 ნოემბერს ყველაფერი თავისით დაიწყო. მართალია, დაბნეულები ვიყავით, მაგრამ უმთავრესი თავიდანვე განსაზღვრული გვქონდა: ორივე ინსტიტუტის - პედაგოგიურისა და პოლიტექნიკურის- სტუდენტობას ერთად უნდა გვემოქმედა და ასეც გრძელდებოდა სტუდენტური მოძრაობის მთელ მანძილზე, ყოველ საჭირო შემთხვევაში ხელიხელჩაკიდებულნი მხრადამხარ ვიდექით.

მახსოვს „მაცნეები“ მოვიდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან: ჩვენთან მსვლელობა იწყება, თქვენც როგორმე თავი უნდა მოიყაროთ და შემოგვიერთდეთო. დავფაცურდით... სულ რაღაც ერთ საათში ყველანი მზად ვიყავით. დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო დროშაც კი გაჩნდა საიდანღაც. სახელდახელოდ გავაკეთეთ ტრანსპარანტები. წარმოუდგენელია, მაგრამ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიჭებმა თავიანთი ნახაზებიც კი დაგვითმეს. გავშალეთ, ვინ იცის, რამდენი ღამენათევი და ნაწვალები ფორმატები და სუფთა გვერდიდან ჩვენთვის სანუკვარი სიტყვები დავაწერეთ: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ „საქართველო ქართველებისათვის!“ „ძირს კომუნისტური რეჟიმი?“ და დავიძარით.

გეზი, რა თქმა უნდა, პოლიტექნიკური ინსტიტუტისაკენ ავიღეთ. იქედან წამოსულებს გზად უნდა შევხვედროდით. საბჭოთა მილიცია და ინსპექცია, ეგ იყო, ჩვენს რიგებში არ ჩამდგარან, თორემ ჩვენთან ერთად გაიარეს მთელი გზა. უხმოდ მიგვაცილებდნენ. ჩვენ კი ისე ვიყავით ანთებულები, არავისა და არაფერს არ ვაქცევდით ყურადღებას, მივდიოდით და ქუჩას აყრუებდა ჩვენი შეძახილები: „სა-ქარ-თვე-ლო, სა-ქარ-თვე-ლო, სა-ქარ-თვე-ლო! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!..“

არასოდეს დამავიწყდება, როგორი ყიჟინით შევხვდით ერთმანეთს. მოგვიანებით, როცა ამაზე ვსაუბრობდით, აღმოჩნდა, რომ მაშინ ყველას ერთნაირი შეგრძნება გაგვიჩნდა: სიძლიერისა და იმედის.

მიტინგი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიმართა. უამრავი ადამიანი შემოგვიერთდა, ჩვენთან ერთად დადგნენ, მხარი დაგვიჭირეს. იყო ემოციური გამოსვლები, მოწოდებები, შეძახილები...

მეორე დღეს, ლექციებზე მისულებს, ჩვენი ლექტორ-მასწავლებლების თბილი, ალერსიანი, მოსიყვარულე და მადლიერი თვალები შემოგვეგება, არც საქებარი სიტყვები დაანანებიათ ჩვენთვის. უზომოდ ბედნიერები ვიყავით.

აქედან მოყოლებული სტუდენტურმა მოძრაობამ სულ აღმა და აღმა იარა. არავითარი შიში, არავითარი უკან დახევა, არავითარი დათმობა. გასაოცარი შემართებითა და თავგანწირული შეუპოვრობით იბრძოდა ქუთაისელი სტუდენტობა.

ვაღიარებ, სიხარულთან ერთად სიამაყის გრძნობაც



მეუფლება, როცა იმ წლებს ვიხსენებ. ბედნიერი ვარ, რომ მოვლენათა შუაგულში ვტრიალებდი და უშუალოდ განვიცადე სტუდენტური მოძრაობის მარცხიცა და წარმატებაც.

ძალიან ხშირად მეუფლება მწველი სურვილი, ჩემი საყვარელი პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის) ეზოში ერთხელ კიდევ შევდგე ძელსკამზე და ძარღვების დაწყვეტამდე ვიყვირო მგოსნის სიტყვები:

„ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!...“

ნურავინ იფიქრებს თავს ვალმოხდილად ვთვლიდე. ჩემს თაობას ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი (შეიძლება ეკლიანიც), მაგრამ სამწუხარო რეალობაა, რომ ჩვენ სტუდენტები აღარა ვართ და ვერც ვეღარასოდეს ვიქნებით. სტუდენტობა კი ახალგაზრდობის ის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილია, რომელსაც ევალება, დიახ, ევალება ძნელბედობის ჟამს თავისი სიტყვა თქვას.... დღესაც სტუდენტური ხმები სჭირდება საქართველოს.

რიტა წაქაძე
ქუთაისის ი. ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური და საკოორდინაციო მუშაობის განყოფილების გამგე

## ინტერვიუ პოლიტიკურ ოპონენტთან

არჩევნებს ნაკლებად ეხებიან, მაგრამ პრეზიდენტის არჩევნები შეფასებულია როგორც ბინძური არჩევნები. მსოფლიოს ყველაზე უკეთესი ჟურნალი არის „The economist" ეს არის ბრიტანული ჟურნალი. იქ საერთოდ ხელმოუწერელი სტატიებია, იმიტომ რომ ეს არის ჟურნალის პოზიცია, იქ წერია, რომ შევარდნაძემ მოიპოვა დიდი გამარჯვება „ბინძური არჩევნების" შედეგად (mirky elections). მისი იურიდიული საფუძველი, მისი პრეზიდენტობისა, ცნობილია. არის წინადადება, რომ ახალი არჩევნები იყოს დანიშნული და ამ არჩევნების დანიშვნის აქტს ხელს აწერდეს ეს „დე ფაქტო" არსებული პარლამენტი და ხელს აწერდეს უზენაესი საბჭო. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან გონივრული წინადადებაა. სწორედ შორის სრულიად უმტკივნეულოდ შეიძლებოდა ამისავე გაკეთება 1992 წელს, მაშინაც იყო ეს წინადადება. შევარდნაძემ ეს წინადადება არ მიიღო.

აშენება მტრის ცეცხლის ქვეშ. ეს ხრიკი კი ამის დივერსიას ახდენს, პირადად შევარდნაძე არის რუსეთის ერთადერთი აგენტი, რომელსაც ასე თუ ისე იდეხლაც ჰქონია ავტორიტეტი, მეტი არავინა ჰყავთ. ახლა გამალებით ეძებენ შემცვლელს. აი, ის ჭაჭია რომ არის, ის არის ღრმა აგენტი, ძალიან ღრმა, და სამწუხაროდ, ჭკვიანი. ჭკვიანი იდიოტია, ბოგუცკი იდიოტია, იცით არა? ფუგინია სერიოზული ამბავი არ არის, პატიაშვილს ამზადებენ, მაგრამ არ გამოუვათ. შევარდნაძე დასულია თავის 25 %-ზე, ყოველთვის ზერელე იყო, მაგრამ სწრაფი ჭკუისა კი იყო, ახლა ის ზერელობა შერჩენილი აქვს, ჭკუის სისწრაფე დაკარგა და მარაზმატიკოსია.

*-როგორ ფიქრობთ, უზენაეს საბჭოსთან შეთანხმება, უნდა დასჭირდეს იმას, ვინც მოისურვებს ხელისუფლებაში მისვლას?*

-არა, არა, არა. ეს ბეთლემში იყო ასე, კანონი, რაკი მამა-პაპამ მიიღო, არ უნდა არ არის. რაიმე საქმეს, ნამდვილი ქართული კულტურისათვის, არ გაგაკეთებინებენ. მაგრამ მე, მაგალითად, ამ „გრანტის ახალგაზრდობაში", მართალი გითხრათ, საშუალოზე მაღალი მონაცემების ადამიანი არ შემინიშნავს. ზოგი უბრალოდ გონებრივად ჩამორჩენილია, აი, თავისუფლების ინსტიტუტი რომ არის, გონებრივად ჩამორჩენილთა კრებულია, ან მაქსიმუმ საშუალო მონაცემების ადამიანებს ეხება. ეს „გრანტის ახალგაზრდობაში", სულ თავიანთი ნომენკლატურა ჰყავთ და მათი ხალხი კი, იცით, რაოდენ შეზღუდულია.

*-საუბრის დასაწყისში თქვენ ახსენეთ რწმენა. რას იტყვით, შეძლო თუ არა ეკლესიამ რაიმე გავლენა მოეხდინა ჩვენს თავს დატეხილ მოვლენებზე, შეუძლია თუ არა ვითარების სასიკეთოდ შეცვლა და, მართებს თუ არა?*

-შეეძლო, შეუძლია და მართებს. საქართველოში რომ ნორმალური ხელისუფლება იყოს, საქართველოს კანონი უნდა ამბობდეს, ყველა მოქალაქეს აქვს ნებისმიერი რწმენის უფლება, მაგრამ რელიგიურ პროპაგანდას უნდა სჭირდებოდეს სახელმწიფოსაგან ლიცენზია.. ყველაფრის ქადაგება არ შეიძლება. კანონში უნდა ეწეროს, რომ კანონდარღვევას არ ამცირებს ის, რომ მას აქვს რელიგიური მოტივაცია. თუ ადამიანი უარს ამბობს ჯარში სამსახურზე, სულ ერთია, ეს შიშით არის გამოწვეული, ბებიის რჩევით, თუ რელიგიური რწმენით. აქ არავის მიბაძვა არ გამოდგება. მე მირჩევნია ცოცხალი ვიყო აზიასა და აფრიკაში, ვიდრე მკვდარი ვიყო ევროპის ცენტრში. ჩვენ არ შეგვიძლია ჩავწეროთ კანონში, რომ მართლმადიდებლობა არის სახელმწიფო რელიგია, მაგრამ შეგვიძლია დავწეროთ — საქართველოს სახელმწიფოს რელიგია არის მართლმადიდებლობა.

# საქართველოს დაბეჩავების ასეთი პოლიტიკით შევარდნაძე საკუთარ თავს მისაღებს ხდის მათთვის

*-ბატონო ნოდარ, ყველაზე კარგად რაც გახსოვს შევარდნაძის ჩამომყვანთა და თვით შევარდნაძის დროიდან ეს არის ძალადობა.*

-დიახ, თვით გადატრიალების პროცესში...



რა თქმა უნდა. ხალხი იხვრიტებოდა, სახლებიდან გაჰყავდათ... ტერორი იყო, ტერორი...

*-თქვენ დაახლოებით იცით, ალბათ, რამდენი ადამიანი დაიხვრიტა მაშინ, რამდენი დაიჭირეს?*

-ორი თებერვლის მიტინგზე ყველაზე მეტი იყო მსხვერპლი, სამი იანვარსაც, დიახ, ბევრი იყო...

*-მსხვერპლი სიკვდილიანიც იყო და ისიც ხომ საშინელებაა, რომ ბევრი დასახიჩრდა, ან პატიმრობის საშინელმა, დამცირებამ შეიწირა ...*

-დიახ, დიახ.

*-და ბარემ ისიც ვთქვათ, როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ იმ პირობებში შესაძლებელი საარჩევნო საქმიანობა, ან როგორ ფიქრობთ, მაშინ, ხუნტის ზეობის ხანაში, ხუნტა კანონიერ ხელისუფლებას არჩევნებს დაანიშნინებდა?*

-მაშინ საარჩევნო კანონი იყო წესიერი და რეალურად შეიძლებოდა არჩევნების ჩატარება ამ კანონით.

*-და არავითარი ზემოქმედება არ იქნებოდა მაშინ, როცა ასეთი ძალადობა მიდიოდა?*

-მაშინ არ იყო გაყალბების მექანიზმი. 1995 წელს საელჩოს თანამშრომელმა მითხრა, ძირითადი გაყალბება სიებში იქნებაო მაშინ ვერ მივხვდი რას ამბობდა. თურმე ეს დამუშავებული მეთოდი ყოფილა, სამხრეთ ამერიკაშია დამუშავებული ეს მეთოდი. ამას კონსულტანტებმა ჩამოუტანეს. ეს კარუსელი რომ შემოიღეს, თურმე ეს არის ყველაფერი. მაშინ შევარდნაძე რომ დათანხმებულიყო და ეს რომ ყოფილიყო ორივე მხარისაგან ხელმოწერილი (უზენაესი საბჭო თანახმა იყო ამაზე), მაშინ ხალხი მიიღებდა მონაწილეობას და ის შედეგები არ ექნებოდა, რაც მიიღო, მაგრამ არ დათანხმდა. რაც შეეხება იმას, რომ ახლა რეალური საარჩევნო კანონის მიღება გვინდა, ამას მხარს დაუჭერს დასავლეთი და ქუჩის ზეწოლაც დასჭირდება, რასაკვირველია. შევარდნაძის ძალა ნულოვანია. ასე სამასი კაცი იქნება, (მაგალითად, მღებრიშვილი, დედაბრების მრბეველები რომ არიან, ის ძალა), პოლიცია მის მხარეზე არ არის, როგორც პოლიციელი მის მხარეზე არ არის, მაგრამ დღეს ჩვენი სისუსტე იგივეა, რაც იყო 1991-92-ში და ა.შ. აქეთ, ჩვენს მხარეს დიდი გაკეთება, გუნდი, რომელსაც შეუძლია მართვა, არ არის, თუმცა პოტენციალი ამ გუნდის შექმნისა, დიახაც არის. ჩემი ძირითადი იდეა, რომლითაც მე მივმართავ ყველას, არის შეიქმნას ეს გუნდი. ჩვენი ამოცანა არის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება. დღეს შეიძლება ახლი კანონი მიიღონ და უარყონ გუშინდელი. დღეს კანონიერების შექმნის ერთადერთი გზა არის არჩევნები.

*-რა ძალებს ხედავთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ ეტაპზე?*

-გარდა იმ პარტიებისა, რომელთა პოზიცია და ეროვნულების ხარისხი და პასუხისმგებლობის გრძნობა ცალსახად ცნობილია, და გარდა იმ პარტიებისა, რომელთა უპასუხისმგებლობის გრძნობა და უსინდისობაც ცალსახადაა ცნობილი, არსებობენ პარტიები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ დგანან. მაგალითად, ძალიან ძნელია კარგი პარტიების პოზიციის გარკვევა დასავლეთის იდეებისადმი, სახალხოსადმი დამოკიდებულება, ლიბერალიზმისადმი ... მე პირადად იძულებული ვარ, მკვეთრი საზღვარი გავავლო პარტიათა ლიდერებისადმი დამოკიდებულებასა და ზოგადად პარტიებისადმი დამოკიდებულებაში. ლიდერებისა, მართალი რომ გითხრათ, ძალიან ბევრისა ძალიან ნაკლებად მჯერა, ბევრი ლიდერის მიმართ მე საკმაოდ დიდი ეჭვი მაქვს, მაგრამ მე მესმის და გამოცდილებაც მაკარნახებს, რომ პარტიის წევრები სხვანი არიან და ლიდერები სხვანი არიან. პარტიის წევრები პარტიაში არიან იმიტომ, რომ უნდათ საქართველოს თავისუფლება და ლიდერები კი, თავიდან არ ვიცი რა ჰქონდათ მიზნად, მაგრამ დღეს კი ხშირად ძალიან უპრინციპოდ, დანაშაულებრივადაც კი იქცევიან. ამიტომ ყველა ცალკეულ შემთხვევაში ძნელი გადასაწყვეტი საკითხია.

*-ბატონო ნოდარ, ამ წლების მანძილზე ბევრი ხალხი წავიდ-წამოვიდა პოლიტიკური პარტიებიდან. ალბათ, ეს პროცესი სახალხო ფრონტსაც შეეხო. ახალგაზრდობაც ნაკლებად აქტიურია ეროვნულ მოძრაობაში, არა? როგორ ფიქრობთ, ახალგაზრდობას ეშინია?*

-ამათი არავის არ ეშინია, ამ ხრიკისა არავის არ ეშინია. ჩვენს პარტიაში პირველი განხეთქილება მოხდა 1990 წელს, ეს ორგანიზებული იყო და ვის მიერაც, ეს ვიცი ძალიან კარგად. იმან, რაც მოხდა 1991 წელს, საშინელი ტრავმა მოგვაყენა და საშინელი ვითარება შექმნა ჩვენთან. ყველაში შექმნა მძიმე განცდა პიროვნულადაც და საერთოდაც, მერე იყო ჭრილობების მოშუშების ხანა, მაგრამ მე მგონი, ყველაზე დაბალი ნიშნული ცნობიერების კრიზისისა უკვე გადალახულია.

*-ახალგაზრდობაზე რას იტყვით?*

-ახალგაზრდობა, იცით, პოტენციურად მზად არის, მაგრამ ჩანასახშია ჯერ...

*-ხომ არ ფიქრობთ, რომ უფრო მეტად თითქოს სოციალურმა საკითხებმა წამოიწია წინ და ახალგაზრდების ნაწილი ვერ ხედავს, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარეშე ვერ გადაიჭრება სოციალური პრობლემები.*

-მაკიაველის (მოგეხსენებათ, პატარა თავებად აქვს დაყოფილი თავისი ნაშრომი) ერთ-ერთი სათაურია, როგორ დაიმორჩილო დამორჩილებული ქვეყნის მოსახლეობა და ჩამოთვლილია მეთოდები. პირველ ადგილზეა პუნქტი, რომ ხალხი უნდა დააშინო,.. ეს მეთოდები დევს მოსკოვის კაგებეში და აქაც ამ მეთოდებს იყენებენ. მასთან, დიდი ნაწილი ამ მეტნაკლებად გასიხული ახალგაზრდებისა ამ გრანტების სისტემას წაჰყვა. ეს გრანტები, რა თქმა უნდა, პატრიოტული მიმართულებისა



*-ბატონო ნოდარ, ჩვენი საუბარი რომ დასასრულისაკენ წავიყვანოთ, ნელ-ნელა ჩამოვშორდეთ საზოგადოდ მწვავე საკითხებს. თქვენ პოლიტიკის გარდა პროფესიაში წარმატებულად მოღვაწეობდით, ახლა რა მდგომარეობაშია თქვენი პროფესიული საქმიანობა, თუ პოლიტიკამ მთლიანად გადაფარა თქვენი ეს მხარე?*

-მე ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან 1961 წლიდან წამოვედი, ვმუშაობდი რუსთველოლოგიაშიც, ფილოლოგიც ვიყავი და ლინგვისტიც, ქართველოლოგიც, და გადაკვეთის სფეროში ვმუშაობდი. მქონდა გამოკვლევები და გეგმებიც, მაგრამ მიმრჩა და მიმრჩა. ახლა ფილოსოფიის ინსტიტუტში ვმუშაობ და უნდა გითხრათ, რომ თანამედროვე ფილოსოფია ძალიან დიდი რამეა, დიდი რამეა, დიდი მიღწევაა გონებისა და სულისა. თან ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს დღევანდელ პრაქტიკულ პრობლემატიკასთან. მე თუ რაღაცა საშუალება მეძლევა რამე დავწერო და რაღაცა მოვიაზრო, პირველ რიგში აქეთ გამირბის ყურადღება.

*-შეცვლიდით თუ არა რამეს თქვენს ცხოვრებაში, რომ შეგეძლოთ წარსულში დაბრუნება?*

-ყველა ნატრობს, ნეტა ახლა თექვსმეტი წლისა ვიყოო.

*-დიდი მადლობა საუბრისათვის.*

-კი, ბატონო, მაგრამ ის კითხვები, რომლებზეც თქვენ მოკლე პასუხებს მთხოვთ, არ შეიძლება რომ მოკლედ ჩამოყალიბდეს. ისე კი ეს საკითხები ჩემთვის დგას, უდავოდ დგას. და ვცდილობ ვიპოვო პასუხები. აი, ჩემს წიგნში მიდის ამ საკითხების განხილვა. არგუმენტაციის გარეშე ასეთი პასუხები მაინც ზერელე გამოდის. ინტერვიუ საერთოდაც არ არის ადამიანის შეხედულებათა ფუნდამენტურად წარმოჩენის ფორმა, მაგრამ ჩვენ ჩვენსას შევეცადეთ. კარგად ბრძანდებოდეთ

ბ-ნ ნოდარ ნათაძეს
ესაუბრა მანანა ტაბიძე

## ფრაგმენტები ჩვენი დღევანდელი ყოფიდან

# ამის შესახებ ყველამ უნდა იცოდეს!



ჩვენს დროში მწვავედ დგას ნარკომანიის პრობლემა. მომხმარებელს ანუხებს დაუძლეველი, ავადმყოფური ლტოლვა წამლის მიღებისა. ნარკოტიკები იწვევს ადამიანის როგორც ფსიქიურ ისე ფიზიკურ გადაგვარებას, ისინი ხდებიან ეგოისტები, აგრესიულები, დამნაშავეები, იძულებულნი - კრიმინალური გზით იშოვონ ფული ნარკოტიკების შესაძენად, რომლის ფასი შავ ბაზარზე ძალზე მაღალია. დღევანდელ საქართველოში გამეფებული ნარკომაფია ხელს უწყობს ყოველივე ამას. გარდა ზემოთქმულისა ამ ბოლო დროს ისეთი ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანა შეინიშნება, რომელთა უმნიშვნელო მიღებაც კი სიკვდილს იწვევს. ქუთაისის საავადმყოფოებში არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული. მომწამლავი ნივთიერებებით დაიღუპნენ 27, 32, 35, 38, 42 წლის ადამიანები. ყოველივე ამის შესახებ უნდა იცოდეს ყველამ, უპირველეს ყოვლისა მშობლებმა და ახალგაზრდებმა. გარდა განსაკუთრებით ძლიერი ნარკოტიკებისა, როგორიცაა ჰეროინი, ოპიუმი, კოკაინი და სხვა, სიკვდილს იწვევს შედარებით ნაკლებაქტიური ნივთიერებებიც, რომელთა ახალი პარტია, თუ შედეგებით ვიმსჯელებთ, რამდენიმე თვის წინ შემოიტანეს ქუთაისში.

საჭიროა გამოიმუშაოთ ნებისყოფა და არავითარ შემთხვევაში არც ახლა და არც მომავალში არ გასინჯოთ ნარკოტიკი, რომლითაც თქვენს თავს განაჩენს გამოუტანთ და ჩაითვლებით, როგორც თვითმკვლელები. მედიცინა ცდილობს ნარკომანთა მკურნალობას სხვადასხვა მეთოდებით, მაგრამ ეს ძვირადღირებული მკურნალობა იძლევა მხოლოდ დროებით გაუმჯობესებას.

რაც შეეხება სხვადასხვა ტოქსიკურქიმიურ ნივთიერებებს: თამბაქოს, ყავასა და ალკოჰოლს, მათი მიმღებნიც ითვლებიან მცირე ნარკომანებად და მათ მოხმარებას არც თუ ისე იოლი შედეგები მოაქვს.

ასე, რომ ყოველივეს წყვეტს ინდივიდის ნებისყოფა, განათლება და ცხოვრების ჯანსაღი წესი.

ექიმი გიორგი დანელია

## დახმარებაც ამას ჰქვია

საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ ქართველი ხალხისადმი გაწეულ დახმარებას ფაქტობრივი ხელისუფლება მთლიანად თავისი მოსახლეობის „კეთილდღეობას" რომ




ახმარს, ყველასათვის ცნობილია დღიდან მათი სათავეში მისვლისა. ერთ-ერთი ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც საქართველომ ზამთრისათვის მიიღო, არის WSAID-ის პროგრამა GWHAP-ი ანუ „საქართველოს ზამთრის გათბობისა და დახმარების პროექტი", რომელიც აშშ-ს მთავრობამ და საერთაშორისო განვითარების სააგენტომ საქართველოს მთავრობის თხოვნის - ზამთრის პერიოდში სათბობსაწვავით დახმარების - პასუხად შექმნა. პროექტი ითვალისწინებს უმწეო და მარტოხელა ოჯახებისადმი 2000 წლის დეკემბრისა და 2001 წლის იანვარ-თებერვალში მოხმარებული ელექტრო ენერგიის საფასურის ნაწილობრივ ან სრულ ანაზღაურებას, რომელსაც იგი გადაუხდის საქართველოს ელექტრო ენერგიის საბითუმო ბაზარს. ხოლო პროექტის აბონენტის მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა ჩათვლილი იქნება კრედიტში.



საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ აღნიშნული პროექტით მოსახლეობის დახმარება იმით გამოიხატება, რომ განსაზღვრულ ოჯახებს GWHAP-ის აბონენტობა შეატყობინეს 2001 წლის თებერვალში, მაშინ როცა არარსებული ელექტროენერგიის თანხა ინკასატორებმა ნებით თუ ძალით წაიღეს მოსახლეობიდან.

ასე იღვწის თავისი ხალხის „კეთილდღეობისათვის" ფაქტობრივი ხელისუფლება უცხო ქვეყნების დასანახად, ხოლო შინ კი მედგრად ებრძვის კორუფციას „ურჩი" გადამხდელების ხაჯზე.

ირმა ჩხეიძე

## „ქუჯის" ფოსტიდან

შევაბიჯეთ მესამე ათასწლეულში. რა მოხდა ბოლო ათ წელიწადში, ძნელია გადმოცემა, მაგრამ მაინც შევეცდები.

ჩვენი კუთხის ქალაქებსა და სოფლებში უკიდურესად გაჭირვებული ცხოვრებით შეწუხებულ ხალხს ვხედავ მხოლოდ. ისინი დაბეჩავებულნი არიან ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ. მათთვის უცხოა სიხარული, ბედნიერება. მაგრამ მიუხედავად აუტანელი სიდუხჭირისა, მათ უანგაროდ სიკეთის ქმნა, გაჭირვებულის (თუმცა თავადაც არაფერი გააჩნიათ) დახმარება შეუძლიათ, დაუზოგავად გასცემენ სითბოს, სიყვარულს, ნუგეშს...

წარკვეთილთა თვითმკვლელობები.

პარლამენტართა და მინისტრთა შვილები კი სასწავლებლად იგზავნებიან საზღვარგარეთ. ნუთუ, ჩვენი შვილები არ არიან ღირსნი, რომ მშობლიურ ქვეყანაში ნორმალური განათლება მიიღონ? აქ კი სავალალო მდგომარეობაა: მინაჩამსხვრეული საკლასო ოთახები, უხელფასო მასწავლებლები, სიცივით გათოშილი მოსწავლეები, რომელთა 9 კლასის დამთავრების შემდეგ ქვეყანას ახალი უმუშევრები ემატება.

თქვენ, ხელისუფლების სათავეში მყოფთ ხელს გაძლევთ ჩვენი ასეთი ცხოვრება და იცით რატომ? - დაბეჩავებული ხალხი ადვილი სამართავია.

# მე თქვენ მოგმართავთ ხელისუფალნო!

თქვენ კი ხელისუფალნო, შეგიძლიათ ეს? ნუთუ არ დაფიქრებულხართ, რომ ცხოვრება წუთიერია, ერთი გაელვებაა მხოლოდ. უცებ ცვდება, ინგრევა ყოველივე, მხოლოდ სულია მარადიული, სიყვარულია მარადიული. გიფიქრიათ, როგორ ცხოვრობს, რით ცოცხლობს გაუსაძლის პირობებში მყოფი ქართველი. თქვენ კი გამოდიხართ და გადასახადების გადახდისაკენ მოგვიწოდებთ. რით? სალაროებში შენახული ანაბრები წაგვართვით, პენსიები „გაყინეთ", ხელფასებს აღარ გვაძლევთ... თუ ვინმემ რაიმეს გაკეთება დააპირა, მაშინვე „წილში უსხდებით", გადასახადებით აღრჩობთ. ქვეყანაში კორუფციაა გამეფებული და გამკითხველი არავინაა, ვინაიდან მაღალჩინოსანნი თავადა ხართ კორუმპირებულნი. შეგნებულად არ ატარებთ საქართველოს მოსახლეობის აღწერას, უცნობია ჩვენს ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული სიტუაცია. გაფანტული წყლის წვეთებივით გაბნეულ ქართველებს ვინ შეკრებს?! ჩვენი გენი გადაშენების პირზეა: ქართველი ქალები ვიღაც თურქებსა და ბერძნებს უვლიან, სარისკიპოებში სხეულს ჰყიდიან, ჩვენი ბიჭები კი მებარგულეებად მუშაობენ სხვა ქვეყნებში.

თქვენის კისერზეა მათი ოჯახების დანგრევა, უშვილძიროდ გადაშენება, უმუშევრობით სასოწარკვეთილთა თვითმკვლელობები.

როდემდე შეიძლება ითმინოს კაცმა მოსაბეზრებელი და გამაღიზიანებელი თქვენი სატელევიზიო გამოსვლები, კინკლაობები და უაზრო შეპირებები? ნახევარი საქართველო გაყიდეთ, ნახევარი საკუთრებაში შეიძინეთ. თქვენ არ იცით, რა არის მამული, რომელიც გაასხვისეთ, გახლიჩეთ, დაანაწევრეთ, ენა - რომელიც დაივიწყეთ, არადა მასზე დაიწერა „ვეფხისტყაოსანი", ამ ენაზე წერდა დიდი ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, ამ ენაზე ვლოცულობდით და ვევედრებოდით ღმერთს. თქვენ არ იცით, რა არის სარწმუნოება მამა-პაპათა მიერ სათუთად შენახული და ჩვენამდე მოღწეული, სისხლით დაცული, ლოცვით გაძლიერებული; თქვენ იგი სექტანტებს, „თავისუფლების" ყბადაღებულ მქადაგებლებს მიეცით საჯიჯგნად.

პოსტკომუნისტები გაევროპელდით, „თავისუფალნი" გახდით, ქვეყანა და ერი დაივიწყეთ, გადიდკაცდით, მაგრამ მე გეუბნებით თქვენ, უფრო მეტად დაპატარავდით და საკუთარი მოღალატური საქმიანობით გაანადგურეთ საკუთარი თავი.

ოდესმე ვარდობაც ხომ უნდა იხაროს! ხანაძე კალები?!

შეწყვიტეთ! კმარა!

დალი კბილაშვილი

## ისტორიის გაკვეთილები

# ქუჯისა და ფარნავაზის გაერთიანება საქართველოს გამთლიანებას ნიშნავდა

ქრისტეს შობამდე IV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი. საქართველო დაშლილ-დამარცხებულია.

ქართლის ერისთავად ალექსანდრე მაკედონელის ნათესავი აზონი დაჯდა. მოვიდა იგი ძლიერი ჯარით და ძლიერი სახელით. დაიპყრო მცხეთა, გული ქართლისა. დაახოცვინა მამასახლისი სამარა და მისი ძმა. „ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს, თუ რა მკაცრი რეჟიმი დაამყარა აზონმა საქართველოში.



უნდა ვიფიქროთ, რომ თავისუფლებისმოყვარე ხალხი ვერ მოითმენდა ასეთ თავაშვებულ სისასტიკეს. მოსახლეობის შეუპოვრობამ და დაუმორჩილებლობამ გამოიწვია ის, რომ მტარვალმა ბრძანება გასცა, სადაც კი ნახოთ იარაღასხმული ქართველი, იქვე მოჰკალითო.

მოკლულ სამარას ძმას სამი წლის ვაჟი დარჩა, სახელად, ფარნავაზი. დედამ იგი კავკასიონის მთებში გახიზნა და იქაურ მთიელ ქართველობაში გაზარდა.

ჭაბუკი წამოიზარდა და უზადო ვაჟკაცი დადგა. აზონის ყურსაც მისწვდა ფარნავაზის გმირობის ამბავი. თავად იგი ნადირობის მოყვარული იყო და ჭაბუკიც სწორედ მონადირული ხელოვნებისთვის დაიახლოვა და დაიმეგობრა.

ფარნავაზი ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ მოქმედებდა. მან და მისმა მომხრეებმა ფარული მოლაპარაკება გამართეს ეგრისის მმართველ ქუჯისთან, რომელიც თვითონვე მეტისმეტად შევიწროებული იყო აზონისაგან. შეიქნა ფარული მისვლა-მოსვლა, გაითვალისწინეს ყოველი წვრილმანი.

კანონიერი ტახტის მემკვიდრე ფარნავაზმა სიზმრის შემწეობით აურაცხელი სიმდიდრე შეიძინა. ეს განძი მალე გამოადგა. ეგრისის მთავართან ხომ ადრევე ჰქონდათ მოლაპარაკება გამართული. მან თავისი მსახური აფრინა დასავლეთ საქართველოში და ქუჯის შეუთვალა: „მომეცი ნება, მოვიდე შენთან, რამეთუ ვემსგავსოთ ძმანი ერთმანეთსა, მოვიხმაროთ ხვასტაგი ესე და ერთიან ძალით შევებათ აზონ ერისთავს".

ქუჯიმ დიდად გაიხარა ფარნავაზის შემონათვალით და სასწრაფოდ პასუხიც აახლა:

„აღსდექ და მოდი ჩემთან, შევერთოთ ერთურთსა, ძმაო ჩემო. შევერთდეთ და მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა".

ფარნავაზი დედისა და დების თანხლებით მცხეთიდან იდუმალ გაუჩინარდა და კოლხეთს გადავიდა.

ქუჯიმ დიდი პატივითა და სიხარულით მიიღო მცხეთელი სტუმრები. მაშინვე მტკიცე ფიცით შეეკრნენ ერთურთს, რომ ერთიანი ძალით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ მტრის წინააღმდეგ. ქუჯისა და ფარნავაზის შეერთება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ნიშნავდა. ერთიანი საქართველოს აღდგენა სურდა ორთავეს. ეგრისის მთავარმა დიდსულოვნება გამოიჩინა, ქვეყნის საკეთილდღეოდ პირადი ინტერესები უარყო და ფარნავაზს შესთავაზა – ოღონდ გავაერთიანოთ ჩვენი ქვეყანა და შენ იყავიო მეფე: „ნუ დაიშურებ ხვასტაგსა შენსა და ამრავლე ლაშქარი; და შემდგომ, თუ ღვთის შეწევნით გავიმარჯვებთ, შენ იქნები უფალი ჩვენი, ხოლო მე ქვეშევრდომი შენი".

ქუჯის სიბრძნით აღტაცებული ფარნავაზი დასთანხმდა, შეჰყარა აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართველთა საომარი ძალები, კავკასიონიდან შეიერთა ოსები და ლეკები, რომლებიც აზონს დახარკული ჰყავდა. თითქმის გაერთიანებული კავკასიის წინააღმდეგ აზონმა ბრძოლა ვერ გაბედა, მცხეთა მიატოვა და კლარჯეთში გამაგრდა.

ფარნავაზი და ქუჯი გაერთიანებული ძალებით დაიძრნენ არტანუჯისაკენ.

ბრძოლა მოხდა არტაანის, ანუ „ქაჯთა ქალაქის" მახლობლად. აზონი ბრძოლაში დაიღუპა. მთელი კლარჯეთი თავის დედას – ქართლს შეუერთდა.

ახლადშექმნილ დიდ ქართულ სახელმწიფოს სიბრძნითა და კეთილგონიერებით განაგებდა ფარნავაზი. იგი გამეფებისთანავე შეუდგა რეფორმების გატარებას. ქვეყანა ახალი ცხოვრების გზას დაადგა, ახალი ერა დაიწყო, მმართველობის ახალი სისტემა ყალიბდებოდა.

ფარნავაზი მეგობრობდა და მოყვრობდა თავის ერთგულ თანამებრძოლებთან. მან თავის დათაგან ერთ-ერთი ერთგულ ქუჯის, ეგრისის ერისთავს მისცა ცოლად.

გაერთიანებული საქართველოს მეფემ ხელი მიჰყო დიდ აღმშენებლობით საქმიანობას. მან გაამშვენიერა და გაამაგრა სატახტო ქალაქი მცხეთა. ამას გარდა დაიწყო ახალ ციხეთა და ქალაქთა



მშენებლობა.

ეგრისის შუაგულში კი ქუჯიმ ქალაქი ციხეგოჯი ააშენა, რომელიც შემდგომ ეგრისის ერისთავთა რეზიდენცია გახდა. ირკვევა და გათხრებითაც დადასტურდა, რომ ციხეგოჯი იყო სწორედ ნოქალაქევში შემონახული ნაქალაქარის უძველესი ქართული სახელი.

მოგვიანებით ეს ქალაქი მთელი დასავლეთ საქართველოს, ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფოს დედაქალაქი გახდა და მას ბიზანტიელებმა არქეოპოლისი ანუ „ძველი ქალაქი" შეარქვეს.

ასე შეიქნენ ფარნავაზი და ქუჯი ქართველთა გამაერთიანებლები, მათი გაერთიანებით გამთლიანდა სრულიად საქართველო და სწორედ „მაშინ განიხარეს ყოველთა ქართველთა".

გიორგი ლომსიანიძე

## მსოფლიოს სხვა ახალი ამბები



„РОСИЙСКАЯ ГАЗЕТА"-ს ცნობით „მასხადოვის რეჟიმს" მმართველობის პერიოდში ჩეჩნეთის რესპუბლიკა თითქმის მთლიანად განადგურდა. გაზეთის აზრით მასხადოვს შანსი ჰქონდა მოსახლეობის ნდობა შეენარჩუნებინა (?!), იმით, რომ არ დაეჭირა მხარი „ადგილობრივი ტერორისტებისათვის". ტენდენციურადაა გაშუქებული ასევე მასხადოვის ხელისუფლების კურსი, კერძოდ, რომ „ეს ხელისუფლება საკუთარ ხალხის განადგურებას აგრძელებს"?!



● რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ივანოვმა OБСЕ-ს მისიის წარმომადგენელთან მ. ჯონესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მოლაპარაკების შემდეგ ზოგიერთ ტექნიკური პრობლემა მაინც დარჩა, რომელიც ოპერატიულად გადაწყდება და OБСЕ-ს ჩეჩნეთში მოქმედ სხვა მისიაც საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუერთდება.



● ვ. პუტინმა ჩეჩნეთიდან ფედერალური ძალების ნაწილობრივ გამოყვანის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება, როგორც РИА ЗНОВОСТИ" იუწყება კრემლში პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება ძალოვან სტრუქტურებთანაა შეთანხმებული. პუტინის ბრძანებით ჩეჩნეთში 15000 რუსი ფედერალი უნდა დარჩეს, რომლებიც მშვიდობას უზრუნველყოფენ (?!)



● კვირის მანძილზე ჩეჩენმა მებრძოლებმა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე განთავსებულ რუსეთის ფედერალურ ძალებზე 15-ჯერ მიიტანეს იერიში. როგორც გაერთიანებული დაჯგუფების შტაბის წარმომადგენელი იუწყება მათ 40 ასაფეთქებელი ნაღმი განაიარაღეს. დაკავებულია 22 ჩეჩენი მებრძოლი და ამოღებული 10 ცეცხლსასროლი იარაღი.

● ჩეჩნეთში შელკოვის რაიონში რუსეთის ფედერალურმა ძალებმა ჩეჩენი ფორმირების ერთ-ერთი საველე მეთაური ადამ ხაზმატხანოვი, მეტსახელად „ვაჰაბისტთა ემირი" მოკლეს, იგი ხელმძღვანელობდა „ნოგაინის ბატალიონს". ოპერაციის დროს მსხვერპლი რუსეთის მხრიდანაც საგრძნობია.

## ჩვენი რწმენა

# მირქმა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

მიგებება (მირქმა) მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი ერთ-ერთია ათორმეტი დიდი ქრისტიანული დღესასწაულიდან, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია 2/15 თებერვალს ზეიმობს.

ამ დღესასწაულით ეკლესია იხსენიებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრებიდან. შობიდან მეორმოცე დღეს ყრმა იესო იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს. მოსეს სჯულის მიხედვით, როცა დედაკაცი მამრობითი სქესის ყრმას შობდა, ორმოცი დღის შემდეგ ჰქონდა უფლება ტაძარში შესვლისა. ოჯახი ვალდებული იყო შესაწირავი მიერთვა ღვთისათვის, ღარიბი ოჯახისათვის დადგენილი იყო ორი გვრიტი ან მტრედის ორი ხუნდი.

იმ ხანებში იერუსალიმში ცხოვრობდა მართალი მოხუცი სვიმეონი. გადმოცემის მიხედვით, იგი იყო ერთ-ერთი სამოცდაათთაგანი, რომლებიც ძველი აღთქმის წიგნებს ებრაულიდან ბერძნულად თარგმნიდნენ. სვიმეონი თარგმნისას დააეჭვა ესაია წინასწარმეტყველის იმ სიტყვებმა, რომელიც იუწყებოდა, რომ მაცხოვარი ქალწულისაგან იშვებოდა. მან მოინდომა სიტყვა „ქალწულის" შეცვლა „ქალით", მაგრამ ამ დროს ღმერთმა მას ანგელოზის პირით აუწყა, რომ მანამ არ აღესრულებოდა, სანამ ქალწულისაგან შობილ ქრისტეს საკუთარი თვალით არ ნახავდა.

ღვთის შთაგონებით, მოხუცი ტაძარში იმ დროს მივიდა, როცა იქ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა და მართალმა იოსებმა ყრმა იესო მიიყვანეს, რათა საკუთარი სჯულით დადგენილი წეს-ჩვეულება აღესრულებინათ. სვიმეონმა ხელში აიყვანა ყრმა, აკურთხა იგი და წინასწარმეტყველური სიტყვები წარმოსთქვა ქვეყნის მაცხოვარზე: „აწ განუტევე მონაი შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვრებაი შენი, რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა" (ლუკა 2,29-32).

ქრისტეს შობამდე ყოველი მართალი ადამიანი მესიის რწმენით ცხოვრობდა და სასოებით მოელოდა მის მოსვლას. შემდგომში იუდეველთა ნაწილმა გაამრუდა ეს ცნება. მესია გააიგივეს ხორციელ მეფესთან, რომელიც ამქვეყნიურ დიდებას მოუტანდა ისრაელს. იუდეველთა უმრავლესობამ ვერ იცნო ჭეშმარიტი მესია იესო ქრისტე, რომელიც მიწიერ ხელისუფლებას კი არა, ცათა სასუფეველს ქადაგებდა.

ღვთის მიგებების (მირქმის) დღესასწაული, მიუხედავად ადრეული წარმოშობისა VI საუკუნეზე ადრე არ აღინიშნებოდა. იმპერატორ იუსტინიანეს დროს (527-565 წწ.) ბიზანტია შეუწუხებია ჯერ მიწისძვრებს, შემდეგ კი – საშინელ ჭირს. ამ საყოველთაო უბედურების დროს ერთ-ერთ ღვთისმსახურ ქრისტიანს ზეციდან ეუწყა, რომ მორწმუნეებს საზეიმოდ აღენიშნათ ხოლმე უფლის მიგებების დღესასწაული.

მართლაც, იმ წელს, როცა უფლის მირქმის დღეს ღამისთევის ლოცვა აღასრულეს, უბედურებანი, რომელნიც ბიზანტიას დაატყდა თავს, შეწყდა. ღვთისადმი მადლიერების ნიშნად 544 წელს ეკლესიამ დაადგინა საზეიმოდ აღენიშნათ მირქმის დღესასწაული.

მიგებების (მირქმის) დღესასწაული არის ზეიმი ადამიანის მიგებებისა, შეხვედრისა უფალთან. ეს დღესასწაული გვასწავლის, რომ, ვინც სჯულის მიხედვით ცხოვრობს, უფალი აუცილებლად მშვიდობასა და ბედნიერებას მიაგებს მას.

თეა ცირეკიძე

# ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ

აღდგომის მარხვის დაწყებამდე, ხორციელის ბოლო შაბათს მართლმადიდებლური ეკლესია მიცვალებულთა ხსენების დღეს აღნიშნავს. ქრისტიანული სწავლების თანახმად ადამიანები არ კვდებიან, ისინი მხოლოდ ხორციელ სამოსს იცვლიან და უკვდავი სულით უბრუნდებიან ზეციურ სამშობლოს.

აღდგომის მოძრავი დღესასწაულიდან გამომდინარე, წელს მიცვალებულთა ხსენების დღე 17 თებერვალს აღინიშნება.



აქვე გთავაზობთ ნეტარი ავგუსტინეს გარდაცვალებამდელ წერილს მიწერილს სულიერი შვილებისადმი. ვფიქრობთ, დიდი ქრისტიანი მამისა და თეოლოგის სიტყვები მცირეოდენ შვებას მაინც მიჰგვრის ჭირისუფალთ და დაუდასტურებს სულის უკვდავების ჭეშმარიტებას.

ნუ ტირი თუ მართლა გიყვარვარ

„სიკვდილი არა არის რა.

მე მხოლოდ გაღმა მხარეს გავედი.

მე ისევ მე ვარ, შენ ისევ შენა ხარ.

რაც ვიყავით ერთმანეთისათვის, ისევ ვართ საუკუნოდ.

ისევ ისე მომმართე, როგორც ყოველთვის მოგიმართავს.

ისევ ისე მესაუბრე, როგორც ყოველთვის გვისაუბრია.

ნუ დამელაპარაკები სხვა კილოთი.

ნუ მიიღებ სამგლოვიარო და მწუხარე იერს.

გაიცინე, რაზეც გვეცინებოდა.

ილოცე, გაიღიმე, იფიქრე ჩემზე, ჩემთან ერთად ილოცე. ჩემი სახელი ისევ ისე წარმოითქვას, როგორც ყოველთვის წარმოითქმოდა, ყოველგვარი ზეაწეულობის, ყოველგვარი ნაღველის გარეშე.

სიცოცხლე იმასვე ნიშნავს, რასაც მუდამ ნიშნავდა.

იგი ისევ ის არის, რაც მუდამ იყო. ძაფი არ გამწყდარა.

რად გგონივარ შენს ფიქრთა გარეთ?

იმიტომ რომ შენს თვალსაწიერს გარეთა ვარ?

მე შორს არა ვარ, ზუსტად გზის გადაღმა ვარ...

ხომ ხედავ, ყველაფერი კარგად არის...

ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ.

თუ მართლა იცი, რა არის ღვთის მადლი და სასუფეველი,

თუ ძალგიძს, გაიგონო ანგელოზთა გალობა და ანგელოზებს შორის დამინახო!..

თუ ძალგიძს, იხილო გადახსნილი თვალსაწიერი, საუკუნო სამყოფელი, ახალი ბილიკი, რომელსაც ვადგავარ!..

თუ წამით ძალგიძს, ჩემსავით უჭვრიტო მშვენიერებას,

რომლის წინაშე ყველა სილამაზე ფერმკრთალდება!..

როგორ! თუკი საწუთროში, აჩრდილთა საუფლოში, მხედავდი და გიყვარდი,

წარუვალ სიცხადეთა საუფლოში ვეღარ უნდა მხედავდე და გიყვარდე?

გწამდეს, როცა სიკვდილი შენც აგყრის ბორკილებს, როგორც მე ამყარა,

როცა ერთ დღესაც, მხოლოდ ღვთისთვის ცნობილ და ღვთისგან დადგენილ დღეს, შენი სულიც სასუფეველში შევა, სადაც ჩემმა სულმა შეგასწრო,

იმ დღეს შენ კვლავ შეხვდები მას, ვისაც უყვარდი და ისევ უყვარხარ,

კვლავ ჰპოვებ მის გულს და იმ გულში კვლავ იმავე გრძნობას ჰპოვებ,

ოღონდ უფრო განწმენდილს.

შეიშრე ცრემლი და ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ".

ლუიზა ხაჭაპურიძე

---

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია სამძიმარს უცხადებს ამავე ორგანიზაციის თავმჯდომარეს პროფ. ტარიელ ფუტკარაძეს მამის

ალექსანდრე ფუტკარაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია სამძიმარს უცხადებს ჰელსინკის კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარეს ტარიელ ფუტკარაძეს მამის

ალექსანდრე ფუტკარაძის

გარდაცვალების გამო

---

საქართველოს ჰელსინკის კავშირის სენაკის ორგანიზაცია სამძიმარს უცხადებს გამგეობის წევრს დინარა თოლორდავა-დავითაიას ძმის გარდაცვალების გამო.

---

## ამირან ძიძგაძის ხსოვნას



როდესაც გჩუხდა მეფისტოფელი,
როგორ ითმენდი შენ ამ წვალებას–
ვწუხდით, ვიბრძოდით,
ვცადეთ ყოველი,
მაინც დანებდი გარდაცვალებას.
და როცა ქარი გაფანტავს ნისლებს–
მსუბუქ საბურველს ცისკრის ვარსკვლავის,
შუქი ნათელი წაგიყვანს ცისკენ
და გაბრწყინდება შენი საფლავი.
დარდის მორევში სიზმრები მაკრთობს,
გულზე ლოდი მაქვს, ჩემო ამირან,
მე შენი ხსოვნა ფიქრებად მათოვს
და დავიწყება შენი არ მინდა.

ვახტანგ ახობაძე

## დ ო ნ ე



1. 1887 წლის შემდეგ რატომ აღარ ქმნიდა ილია დიდ მხატვრულ ნაწარმოებებს?

2. 1906 წელს რომელ ჯგუფს მიემხრო ილია სახელმწიფო საბჭოში და რა მოითხოვა?

3. რომელ წელს გაასამართლეს ილიას მკვლელი და რა განაჩენი გამოუტანა მას სასამართლომ?

4. რომელ მოქანდაკეს ეკუთვნის ილიას საფლავზე დადგმული ძეგლი!

5. ვის ეკუთვნის შემდეგი სიტყვები და როდის არის დაწერილი:

„დაგიკოცნიან სახესა
ნათელს არაგვის გმირები;
შვილის დაკარგვას გლოვობენ
ტურფა ალაზნის პირები!
კაკო ყაჩაღთან ერთადა
მოსთქვამენ გლეხის შვილები...“

---

წინა ნომერში გამოქვეყნებული კითხვების პასუხები:

1. პოემაში „აჩრდილი“ (თავი **XII**)

2. „აჩრდილმა“ იმდენად დიდი ცენზურა განიცადა, რომ ორი თავი სრულიად გაქრა და მისი აღდგენა შეუძლებელი გახდა.

3. ჟურნალი „ივერია“ გამოვიდა 1877 წ. 1 იანვარს და 25 წლის მანძილზე ილია იყო მისი გამომცემელი და რედაქტორი.

4. არტემ ახნაზაროვის გადმოცემით, ეს არის ილიას აზრი საპოლემიკო წერილების წერაზე.

5. ილია ძალიან ბევრ დროს და ენერგიას ანდომებდა ბანკის საქმეებს და მისთვის არა ერთხელ უთქვამთ, რომ ბანკი მას ავიწყებდა მთავარ მოწოდებას- მწერლობას.

6. ილიას ფსევდონიმებია: **XXX**, სამი ვარსკვლავი, ლარიძე, ფირუზა, მ. ჯიმშერიძე, ზუმბურიძე, ახალმოსული, ჯიბრაელი, ივერიელი.

ჰელსინკის კავშირის ისნის რაიონის ორგანიზაცია ულოცავს გაბედნიერებას ამავე რაიონის წევრს, ნინო კოქლამაზიშვილს.

უსურვებს მრავალ სიხარულს და შვილთა სიმრავლეს.

## ტვინსაწნეხი



თარაზულად: 1. მდგომარეობა, რომელშიც საქართველოს მთავრობა არ იმყოფება; 4. ამა თუ იმ ქვეყნის პოეტთა ერთობლიობა; 8. ბოსტნეული; 9. დანიელი ფიზიკოსი; 10 ბანში ამოჭრილი ადგილი; 12. წნევის საზომი ერთეული; 15. მზის ამოსვლა; 16. მამაკაცის მოსახელე სამუშაო იარაღი; 17. სათეატრო ცეკვის ხელოვნება; 18. ჰიტლერული გერმანიის სამხედრო დაზვერვა; 19. გამომწვარი კირქვა; 21. ფუჭი ანუ; 23. სისხლის აღრევა; 24. ესპანელი მხატვარი; 28. მთის ციცაბო ფერდი; 29. ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 30 ყოფილი სსრკ-ს ერთ-ერთი რესპუბლიკა; 31. ნესტან-დარეჯანის სამშობლო.

შვეულად: 1. უცოლოდ დარჩენილი მამაკაცი; 2. მონადირე ფრინველი; 3. სურვილი, ნდომა; 4. გასული საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელი; 5. გამარჯვების ქალღმერთი; 6. ჰეროდოტეს „შვილი“; 7. ერთ-ერთი კონტინენტი; 11. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 12. პროტესტანტების მღვდელი; 13. მწვერვალი, რომელზედაც ვახტანგ გორგასალმა ფეხი შედგა; 14. დებულება, რომლის მართებულებას ადგენენ მტკიცების გზით; 19. „არ ვიცი“ ავსტრალიელ აბორიგენთა ენაზე; 20. დროის ათდღიანი მონაკვეთი; 22. პირი, რომლისკენაც მიმართულია ყურადღება; 25. წერილობითი თხოვნა; 26. პატარძლის მორთულობა; 27. ხელოვნური წყალსადენი; 28. ზოდიაქოს ერთ-ერთი ნიშანი.

## სხვადასხვა ○ სხვადასხვა ○ სხვადასხვა

### წყლული

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება



ამ დაავადების მიზეზები მთლად ნათელი არ არის. გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ ფსიქოემოციურ გადაძაბვას, კონფლიქტურ სიტუაციებს, კვების რეჟიმის მოუწესრიგებლობას, უხეშ გამაღიზიანებელ საკვებს.

დაავადების ძირითადი ნიშნებია გულძმარვა და ტკივილი კუჭის არეში, მარჯვენა ფერდქვეშ და გულის კოვზთან. ამ ნიშნებს იწვევს ცხარე, მლაშე, ძლიერ ტკბილი, ცივი, მშრალი საჭმელი, შემწვარი, მსუქანი ხორცი, ალკოჰოლიანი სასმელის მიღება, სიგარეტის მოწევა. ტკივილი და გულძმარვა 1–2–3 საათს გრძელდება, წყნარდება სოდიანი ან მინერალური წყლის, საჭმლის მიღების შემდგომ.



დიაგნოზის დასაზუსტებლად საჭიროა კუჭის წვენის გამოკვლევა; უნდა ჩატარდეს აგრეთვე კუჭის რენტგენოლოგიური გამოკვლევა და გასტროფიბროსკოპია.

მკურნალობა: უნდა აიკრძალოს თამბაქოს წევა და სპირტიანი სასმელები. გამწვავების პერიოდში საჭიროა წოლითი რეჟიმი. საკვებიდან უნდა გამოირიცხოს შემწვარი და მოხრაკული ხორცი, ხორცის ბულიონი, ძეხვეული, მჟავე, ცხარე და მლაშე საჭმელები, მაგარი ჩაი, ყავა, შოკოლადი, გაზიანი ლიმონათი. ავადმყოფმა შეიძლება მიიღოს შემხმარი თეთრი პური, ორცხობილა, კარაქი, ხაჭო, უმარილო ყველი, მოხარშული თევზი, ძროხის ან ქათმის მოხარშული ხორცი, კარტოფილის ან სტაფილოს პიურე, ზოგჯერ თოხლო კვერცხი.

ტკივილისა და გულძმარვის დროს კარგად მოქმედებს ტუტეების მიღება. ასეთია ნატრიუმის ჰიდროკარბონატი (საჭმლის სოდა), ნახევარი ჩაის კოვზი ნახევარ ჩაის ჭიქა თბილ წყალზე, ალმაგელი, ბორჯომის წყალი. ფართოდ იხმარება ვიკალინი და ვიკაირი – 1–2 ტაბლეტი ყოველი საჭმლის მიღების შემდეგ და დამატებით დაძინების წინ.

მინერალური წყალი ავადმყოფმა უნდა მიიღოს ჭამამდე ერთი საათით ადრე, პატარა ყლუპებით, უმჯობესია ნელთბილი სახით.

### დიასახლისს

ფენოვანი ენები



მასალა: 500 გრამი ფქვილი, 500 გრამი მარგარინი, 1 ფინჯანი რძე, მარილი, 150 გრამი მსხვილი შაქრის ფხვნილი.

ფქვილის, მარგარინის, რძისა და მარილისაგან სწრაფად მოზილეთ ცომი და 24 საათის განმავლობაში შედგით მაცივარში (ეს ცომი შეიძლება ერთი კვირა იყოს მაცივარში, იგი უფრო კარგი გახდება).

გაცივებული ცომი გააბრტყელეთ 1 სანტიმეტრის სისქემდე და მრგვალად ამოჭერით, ფიცარზე დააყარეთ შაქარი, ზემოდან დაადეთ ამოჭრილი ცომის ნაწილები, გააბრტყელეთ თითოეული ისე, რომ მიიღოს ენის ფორმა. ტაფა დაასველეთ წყლით, ზემოდან დაადეთ „ენები“ ისე, რომ შაქრიანი მხარე იყოს ზემოთ და გამოაცხვეთ გახურებულ ღუმელში 15 წუთის განმავლობაში.



თაფლის ნამცხვარი

1 ჭიქა შაქარი და ნახევარი ჭიქა თაფლი ათქვიფეთ 3 კვერცხთან ერთად, მიუმატეთ 1 ჭიქა არაჟანი, 150 გრამი მარგარინი, ძმარში გახსნილი 1 ჩაის კოვზი სოდა, ნახევარი ჭიქა ნიგოზი და 3 ჭიქა ფქვილი. მოზილეთ ცომი, მოათავსეთ ცხიმწასმულ ყალიბში. და აცხვეთ 45 წუთის განმავლობაში.



ორცხობილა

2-3 კვერცხი, 4 სუფრის კოვზი შაქარი, მარილი და 100 გრამი კარაქი ათქვიფეთ, ჩაყარეთ 1 ჭიქა პურის ფქვილი და სწრაფად მოზილეთ ცომი, გააბრტყელეთ ნახევარი სანტიმეტრის სისქემდე, წაუსვით 1 კვერცხის გული, დაჭერით პატარა რომბებად და შედგით 140-150 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში.

## კვიმატი



ერთხელ ქუჩაში ერთი ჩემი მოხუცი მეზობელი დავინახე, რომელიც ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ: თითქოს შეწუხებული და ვკითხე, რა დაგემართათ-მეთქი? - დავეცი და თითი მოვიტეხე - მითხრა. ძალიან შევწუხდი, მინდოდა როგორმე მენუგეშებინა და რიხიანად ვუპასუხე: - ნუ გეშინიათ, ყველა ხდება, ძაღლი ყოფილიყავით არ მოგეწყდებოდათ - მეთქი.

ყურზე ძილისპირ დავიძინე. ... ფიცარი ნახეთ. ...

მანამდე გადასახლებულთა გამართულ ბაზრობაზე მე და ჩემი მეგობარი მამაკაცის „პორტფელებს“ ვეძებდით ხალხმრავალ ბაზრობაზე. ერთ-ერთმა გამყიდველმა რომ დაგვინახა, დახლს ხაგულდაგულად დაიფარებით გვკითხა:
-რას ეძებთ, გოგონებო?
-რას ქალბატონო და, ყაცები რომ ხელში ატარებენ. ასეთი გვინდოდა-მეთქი - ძლივს ავხსენით.
-მასეთი გოგონებო უფრო ქეიფიანი. შუა ადგილზეა- გვიპასუხა საკმაოდ გულწრფელად.

ერთი ჩემი მეგობარი ბაზრობაზე ხახვის პირს ეძებდა. ფულით ხოხავდა და სიგრძე-სიგანეს ამოწმებდა. გამყიდველის კითხვაზე - რა გნებავთ, კითხვა შეუბრუნა:- ქალბატონო, ამაში, ღედარჩემმა რომ მაჩუქა, ის ხახვი თუ ჩაეტევა?

ქუთაისში ერთი ინგლისელი იყო ჩამოსული, რომელიც ქართველ ბიჭებს დაუმეგობრდა და ხშირად დროს მათთან ერთად ატარებდა. ერთხელაც ერთ-ერთ მასპინძელთაგანს ბებია გარდაეცვალა. ინგლისელმა პანაშვიდზე წასვლის სურვილი გამოთქვა. თან ბიჭებს სთხოვა, მასწავლეთ ქართულად ასეთ შემთხვევაში სამძიმარს როგორ უცხადებენ ქართველებს. ბიჭებმაც რაღაც ასწავლეს... პანაშვიდზე შესულმა ინგლისელმა დამწუხრებული იერით გარდაცვლილის შვილებს მიუსამძიმრა: თქვენი ქალბატონი როგორ დაგერხათ... ქართველები სიცილისაგან ყელამდე ურცხვავდნენ თავს...

გარდაცვლილის ოჯახის ერთ-ერთი ნაცნობი პანაშვიდზე მიდის და მწუხარე სახით ქართველებს უსამძიმრებს: - „მომილოცავს, გენაცვალე!“

რამდენიმე წლის წინ თანაკურსელ გოგონას ბებია გარდაეცვალა: ჩვენც გადავწყვიტეთ მისთვის გვესამძიმრებინა და ისე, რომ წინასწარ არ გაგვეგებინებინა, გასვენებაში მივედით: ოთახში შესულებს იმ გოგომ მიცვალებულს დაუძახა: - ბებია, ბებია, ნახე ჩემი დაუპატიჟებელი ამხანაგები მოვიდნენ“...



ახლობელს ბებია გარდაეცვალა. ნათესავები ყურის გასაგონებლად ხმამაღლა ტიროდნენ. ხანმოკლე დუმილის შემდეგ ფული რომ გადაუხადეს, მეზობლები ხურდა არ ადგნენ. ეზოშიც მიცვალებულთან დახურდავებულ ფულს აწერნენ და მეზობლებმა ქართველებს უთხრეს: - რა იქნა, ბიძია, არა მაქ ხურდა და თუ გინდათ მის მაგივრად პაციენტი ყურში ნახეთ...

შეკითხვა: მართალია, რომ ამბობენ, რომ 21-ე საუკუნეში ოჯახები სადილს მობილურით დაუკვეთენ?

პასუხი: დიახ, და მას მიიღებენ ცელოფნით.

სარედაქციო კოლეგია:
ონისე ბანძელაძე (ლიტერატურა), გიორგი დანელია, სოფიკო კაშმაძე (საზოგადოება), გიორგი ლომსიანიძე (ისტორია), ირმა ჩხეიძე (პოლიტიკა), თეა ცირეკიძე, ლელა ხაჭაპურიძე (რედაქტორი)

დირექტორატი:
აკაკი ბაკურაძე, ლევან ფრუიძე, კობა ცერცვაძე

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, კუპრაძის 32
ტელ.: 2-16-03
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge